ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 2023

№160 (9196)

ფასი: 80 თეთრი

## სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა

გვ.4



# „12 ვერტმფრენი ჰყავს ბიძინა ივანიშვილს, რატომ არ გამოიყენეს... სხვისი შვილები „დაიკიდეს"?!"



პაატა მანჯგალაძე: „ხალხმა რა იცოდა, სად ისვენებდნენ კალაძის შვილები?! ეს თვითონ შიდა დაპირისპირების ამბავია. ვის ეცალა, ტრაგედიის დროს, კალაძის ვიდეოფირები ამოეღო?! ისევ თვითონ გააკეთეს ეს ყველაფერი და თვითონ გაავრცელეს"



გვ.2

„პირველი, ფული გამოყოფილი იყო 2018 წელს და წინასწარი შეტყობინების სისტემა არ დამონტაჟებულა, მიუხედავად პროპაგანდისა. მეორე, ვერტმფრენებთან დაკავშირებით მოხდა უამრავი ტრაგედია და ვერტმფრენები დღემდე შეძენილი არ არის და მესამე, ღამით სამაშველო ოპერაცია შეაჩერეს და ადამიანები დატოვეს ველური ბუნების პირისპირ მარტო! აი, ამ ყველაფერს მალავენ!"

## „რუსეთი 31 წლის განმავლობაში ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო, რომ საქართველო აფხაზეთში შევიდა"

გვ.3



თამაზ ხუბუა: „აფხაზეთში ომი არ იქნება. ადამიანებთან მოლაპარაკება აუცილებელი იქნება. ზოგი ამას შეიძლება პესიმისტურად უყურებს, მაგრამ ნდობის აღდგენას ალტერნატივა არ აქვს"

## „რუსეთში ძირძველი მოსახლეობის ხმა დახშულია"



გვ.4

„უკრაინელები არა ვართ უბრალოდ თავისუფლებისმოყვარე ხალხი, ჩვენ, გამარჯვების გამო, თავგანწირვისთვისაც მზად ვართ"

## ზურა ჯაფარიძე: „სამაშველო სამუშაოები არც ჩაუტარებიათ, რაც გააკეთეს, გადარჩენილები გამოიყვანეს"

გვ.2



გვ.3



## კახა კალაძე: „აღმაშენებლის გამზირზე არსებული ღია კაფე-ბარები უნდა შემცირდეს მოცულობაში"

გვ.4



## ალეკო ელისაშვილი: „სტიქიას გადარჩენილი ადამიანების თავგანწირვის, განცდილი სტრესისა და შეუპოვრობის აბუჩად აგდება ნაციონალებსაც არ უკადრიათ"

1993207202223

**4** 26 წლის კაცმა სოცქსელში გაცნობილი მეგობარი ქალი დააბა, მისი გაგუდვა სცადა, შემდეგ კი თანხა გასტაცა

**2** შეიარაღებული თავდასხმა ლენტეხის მერიაზე

**7** ქუთაისის ტორპედოს სოლიდური ჯარიმა ემუქრება

**6** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: პუტინს არ დააპატიმრებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „12 ვერტმფრენი ჰყავს ბიძინა ივანიშვილს, რატომ არ გამოიყენეს... სხვისი შვილები „დაიკიდეს"?!

## პაატა მანჯგალაძე: „ხალხმა რა იცოდა, სად ისვენებდნენ კალაძის შვილები?! ეს თვითონ შიდა დაპირისპირების ამბავია. ვის ეცალა, ტრაგედიის დროს, კალაძის ვიდეოფირები ამოელო?! ისევ თვითონ გააკეთეს ეს ყველაფერი და თვითონ გაავრცელეს"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის" ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.

*— ბატონო პაატა, ბოლო პერიოდია ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართული ოცნების" ლიდერების განცხადებები ყოველგვარ ზღვარს ცდება. რა ჩაიფიქრეს? რას ცდილობენ? შოვში გადარჩენილებს ებრძვიან? როგორია თქვენი შეფასებები?*

— პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ ამათ ხალხი არ აინტერესებთ. ამათ აინტერესებთ, რაც შეიძლება ბევრი ფული და ქონება დააგროვონ. კორუფცია მართავს მათ ტვინებს ძირითადად. მე ახლოს ვიცნობ ამ ადამიანებს და ამიტომ ვსაუბრობ. ახლა დანაშაულის დაფარვის ინტერესი აქვთ. იმდენჯერ და იმდენად გაუყიდათ, რომ სიცრუე გაასაღეს რეალობად. განცდა დაკარგეს სიფრთხილის და ახლა ჰგონიათ, რომ გადარჩენილ ადამიანებსაც გააშავებენ. ერთია, რა თქვა კობახიძემ და მეორეა, უკვე რას წერენ ამ გადარჩენილებზე „ქართული ოცნების" ტროლები და ბოტები.

*— მართლაც ყველაფერი ხომ არ „პრავდება"?! რაც უნდა გულმხურვალე მხარდამჭერი იყო, ასეთი ნათქვამი როგორ უნდა „გაუპრავო" ხელისუფლებას?*

— არა მარტო „გაუპრავო", მე შემხვდა კომენტარები „ქართული ოცნების" ტროლების და ბოტების იქ გარდაცვლილ ადამიანზე, რომელიც ნატოსა და ევროპის მომხრე იყო. კი გარდაიცვალე, მაგრამ, რაც ხარ, ეს ხარო... გარდაცვლილ ადამიანს დაუწერეს ნეგატიური კომენტარები და ის გააშავეს. არასასურველ პოლიტიკურ პირად ჩათვალეს. რაზე უნდა ვილაპარაკოთ?! ამ ადამიანებისთვის არანაირი ღირსება, არანაირი მორალი, არანაირი სამართლიანობის განცდა არ არსებობს. მთავარი საზომი მეტრი არის, ხელისუფლებაში რაც შეიძლება დიდხანს ყოფნა.

*— ბიძინა ივანიშვილის მესიჯებია ეს ყველაფერი? კობახიძემ რა თქვა საერთოდ? ვისი აზრები გაახმოვანა?*

— მე არ ვიცი, ირაკლი კობახიძე ყოველდღე გადის თუ არა ბიძინასთან კონსულტაციას, მაგრამ ეს არის ინერცია. ჯერ ნიკოლოზ რაჭველს დაესხნენ თავს, მანამდე არველაძეს დაესხნენ თავს. უფრო ადრე კიდევ სხვა ადამიანებს. რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ არანაირი სიწმინდე, არავინ ავტორიტეტი არ უნდა იყოს ქვეყანაში! ახლა ჩათვალეს, რომ ეს გადარჩენილი ადამიანებიც რაღაც გავლენის მქონენი არიან საზოგადოებრივ აზრზე. იმ ბიჭმა რა თქვა? თქვა ის, რომ 2-3 საათის განმავლობაში ხალხი კიდევ ითხოვდა შველას. თქვა, რომ კოტეჯების ადგილიდან ხმები ამოდიოდა. ეს კი ეწინააღმდეგება „ოცნების" პროპაგანდას, რადგან ესენი ამბობენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვერტმფრენი გვეყოლებოდა თუ არა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, გაფრთხილების სისტემა გვექნებოდა თუ არა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ღამე გავაგრძელებდით თუ არა სამაშველო ოპერაციას, გადასარჩენი გადარჩა და მორჩა! ანუ დღე იღებენ პასუხისმგებლობას, ღამე არ იღებენ. აი, ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე.



**„პირველი, ფული გამოყოფილი იყო 2018 წელს და წინასწარი შეტყობინების სისტემა არ დამონტაჟებულა, მიუხედავად პროპაგანდისა. მეორე, ვერტმფრენებთან დაკავშირებით მოხდა უამრავი ტრაგედია და ვერტმფრენები დღემდე შეძენილი არ არის და მესამე, ღამით სამაშველო ოპერაცია შეაჩერეს და ადამიანები დატოვეს ველური ბუნების პირისპირ მარტო! აი, ამ ყველაფერს მალავენ!"**

*— გადარჩენილების ეშინიათო, რატომ ეშინიათ? რას მალავენ?*

— დანაშაულს მალავენ! პირველი, ფული გამოყოფილი იყო 2018 წელს და წინასწარი შეტყობინების სისტემა არ დამონტაჟებულა, მიუხედავად პროპაგანდისა. მეორე, ვერტმფრენებთან დაკავშირებით მოხდა უამრავი ტრაგედია და ვერტმფრენები დღემდე შეძენილი არ არის და მესამე, ღამით სამაშველო ოპერაცია შეაჩერეს და ადამიანები დატოვეს ველური ბუნების პირისპირ მარტო! აი, ამ ყველაფერს მალავენ!

*— აზრი არ ჰქონდაო. ხელისუფლებაში მყოფი პირისგან, ასეთი რამის თქმა როგორ შეიძლება? რას ნიშნავს, აზრი არ ჰქონდა?*

— მე არ ვარ სპეკულაციის მომხრე, მაგრამ თავიანთი შვილები რომ ყოფილიყვნენ იქ, მიწას ხომ თითებითა და ფრჩხილებით ამოიღებდნენ?! მაგრამ არ იყვნენ იქ მათი შვილები, სხვისი შვილები იყვნენ, სხვისი ოჯახის წევრები და პირდაპირ რომ ვთქვათ, „დაიკიდეს"! წავიდნენ იმ ღამეს, დაისვენეს და მეორე დღეს გააგრძელეს. მაშველებს სინამდვილეში არანაირი შესაბამისი აღჭურვილობა, არანაირი ფორმა, არაფერი მათ არ ჰქონდათ. ღამე ის ბიჭები დატოვეს იქ, ეს ტალახიანი ფორმები ზედ შეახმათ, გამოსაცვლელიც კი არ ჰქონდათ ამ ბიჭებს. ხის ნატეხებით ჩიჩქნიდნენ მიწას! არანაირი სპეციალური აღჭურვილობა. აი, ასეთი კორუმპირებული და ჩამოშლილი სისტემაა და ამ დროს მოდით ვთქვათ რეალობა, 12 ვერტმფრენი ბიძინა ივანიშვილის ანგარიშში აყენია. იცით, რომ კერძო კომპანია აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ახორციელებს უცხოეთში მსგავსი სერვისით მომსახურებას. ტურისტული, ტრანსპორტირების და ასე შემდეგ და არავის აზრად არ მოსვლია, რომ ეს ვერტმფრენები ყოფილიყო გამოყენებული. აი ეს არის დანაშაული და ამ დროს ოპოზიციის ლიდერებზე გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია, რომ ვერტმფრენები ჰყავთო. ოპოზიციის არცერთ ლიდერს ვერტმფრენი არ ჰყავს. ვერტმფრენები ჰყავს ხელისუფლებას.

*— მაქსიმალურად ცდილობენ, რომ პოლიტიზირება მოახდინონ და ეს სტიქიური უბედურებაც ხელისუფლებას დააბრალონო, ასე გპასუხობენ „ოცნებიდან".*

— ტრაგედია რომ მოხდა, მაქსიმალურად თავს ვიკავებდით. მხოლოდ იმაზე ვსაუბრობდით, ახლა ესაა გასაკეთებელი, ახლა ესაა, მაგრამ გამოვიდა მაია ბითაძე და პირდაპირ ოპოზიციას დასდო ბრალი, წინა ხელისუფლებას დასდო და თქვა, რომ აი, 2007 წელს რომ გააუქმეს გეოლოგიისა და მონიტორინგის სამსახური, ამის ბრალია. კაცო, დავუშვათ და გაუქმდა 2007 წელს, ამდენი წელია ხელისუფლებაში არიან და რას აკეთებდნენ, ვერ აღადგინეს?! რა თქმა უნდა, არაფერს! 70 მილიონი უცხოური გრანტი იყო გამოყოფილი, ამერიკული, მაგრამ სისტემა არაა დამონტაჟებული. რატომ? იმიტომ, რომ კორუფციაა. ყველგან და ყველაფრისგან ფულს აკეთებენ.

*— ასეთი განცხადებები, რასაც ბოლო პერიოდია ვისმენთ, რამდენად უნდა „გაუტაროს" საზოგადოებამ?*

— რეგიონში ვარ და მეც სულ მაგას მეკითხებიან, ხომ გვეშველება, ხომ წავლენო? ყველამ ერთად უნდა მოვინდომოთ, თავისით არსად წავლენ. არსად წასვლას არ აპირებენ. სწორედ ამიტომ ხდება ეს ყველაფერი, ის პარალელური რეალობა, რომელიც სურთ, რომ შექმნან, უნდათ აქციონ რეალობად. რაცაა სიმართლე, რაცაა რეალობა, ის მიუღებელია მათთვის, რომ ხალხმა მათ განაჩენი გამოუტანა უკვე.

*— საგამოძიებო კომისიაზეც თქვეს, რომ პოლიტიკური ქულებისთვის სჭირდება ოპოზიციასო.*

— ეგენი ყველაფერს პოლიტიკას უკავშირებენ. ახლაც გარდაცვლილებსა და გადარჩენილებს აბრალებენ, სტიქია რომ მოხდა. გადარჩენილებს ამადლიან, რომ ცოცხლები არიან. აი, ესეთ ამორალურ ხალხთან გვაქვს საქმე.

*— მათი დაშინება და გაჩუმება უნდათ, თუ რა მიზანი ამოძრავებთ?*

— ის ვერსია, რასაც ეს გადარჩენილი ხალხი ყვება, არ ჯდება მათ ვერსიაში, განსხვავებულია სახელისუფლო ვერსიისგან, ააშკარავებს მათ დანაშაულს და ახლა უკვე იერიში მიიტანეს ამ ადამიანებზე. ცდილობენ, მოაქციონ „ქართული ოცნების" ტროლ-ბოტების წნეხის ქვეშ, რომ ვერცერთმა ხმის ამოღება ვერ გაბედოს. ამ სიტუაციაში ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა და ესენი აქეთ გადარჩენილებს ადანაშაულებენ, რატომ გადარჩითო. რამდენსაც გააბედინებ, იმდენს გაგვიბედავენ. ერთი და ორი ინდივიდი შეიძლება დამარცხდეს ხელისუფლებასთან, მაგრამ ხალხი ამარცხებს ხელისუფლებას.

*— ხელისუფლება აგონიაშია და ამით აიხსნება მათი ასეთი განცხადებები?*

— მე შიდა დაპირისპირებასაც ვხედავ, მართალი გითხრათ. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა დაჯგუფება და ახლა, ცდილობენ, ერთმანეთს გადააბრალონ ეს ყველაფერი.

*— რამდენად უშვებთ, რომ შს მინისტრის განწირვის პროცესი მიდის?*

— შს მინისტრი საერთოდ არ იყო საქართველოში და სად იყო, ისიც არ ვიცი. ის შს მინისტრი კი არ არის, ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრია დღესაც. როცა ხელისუფლება იწყებს ჩამოშლას, მერე უკვე გუნდები ცდილობენ, ერთმანეთს გადააბრალონ ეს ყველაფერი. ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ, მთავარია, ქართული საზოგადოების კონსოლიდირება, რომ ამათ განაჩენი გამოვუტანოთ.

*— დაპირისპირება ახსენეთ და კალაძეზე ასე მისევა და თავდასხმა „ოცნებისგან" იყო ხსნილიო. რამდენად უშვებთ, რომ ასეა?*

— ასეა. სწორედ თვითონ გამოიტანეს ეს ამბავი. აბა, ხალხმა რა იცოდა, სად ისვენებდნენ კალაძის შვილები?! ეს თვითონ შიდა დაპირისპირების ამბავია, თორემ მაგისთვის ვის ეცალა, ტრაგედიის დროს, კალაძის ვიდეოფირები ამოელოთ?! ისევ თვითონ გააკეთეს ეს ყველაფერი და თვითონ გაავრცელეს.

# შეიარაღებული თავდასხმა ლენტეხის მერიაზე — ბრალდებულს 5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა



შეიარაღებული თავდასხმა ლენტეხის მერიაზე – პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლომ საგამოძიებო უწყების მტკიცებულებები გაიზიარა, ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო და 5-წლიანი პატიმრობა შეუფრდა.

განცხადება სრულად:

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაზე თავდასხმაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვასა და ტარებაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებული შეიარაღებული მივიდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან და მერის სამუშაო და მისაღები ოთახების მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა. სროლის შედეგად შენობაში გაჩნდა ხანძარი, რამაც დააზიანა და გაანადგურა მერის სამუშაო ოთახში არსებული ქონება და ინვენტარი.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ხელისუფლების წარმომადგენლის სამსახურებრივ შენობაზე თავდასხმა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – წერს პროკურატურა. შეგახსენებთ, საქმე ეხება 2022 წლის 21 დეკემბერს მომხდარს, რა დროსაც ლენტეხის მერიას თავს დაესხნენ.

# ზურა ჯაფარიძე: „სამაშველო სამუშაოები არც ჩაუტარებიათ, რაც გააკეთეს, გადარჩენილები გამოიყვანეს"



– სამაშველო სამუშაოები არც ჩაუტარებიათ, რაც გააკეთეს, გადარჩენილები გამოიყვანეს, – აღნიშნულის შესახებ „გირჩი – მეტი თავისუფლების" ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ განაცხადა.

– დღეს რას ლაპარაკობენ? ნარატივში აქვთ გარღვევა, რომ არაფერს აზრი არ ჰქონდაო. რეალურად ამბობენ, რომ სამაშველო სამუშაოებს აზრი არ ჰქონდაო. სამაშველო სამუშაოები არც ჩაუტარებიათ. ამათმა რაც გააკეთეს, ეგ იყო ევაკუაცია, გამოყვანა მოახდინეს უკვე გადარჩენილების. სამაშველო ოპერაცია არ ჩატარებულა და ახლა მიდის ძიება გარდაცვლილების.

ესენი ამბობენ, რომ სამაშველო ოპერაციას აზრი არ ჰქონდა, არც ვერტმფრენს, არც ღამის ხედვას და არაფერს, იმიტომ, რომ ვერაფერს ვიზამდითო. ამ დროს არსებობენ ცოცხალი ადამიანები, რომლებიც საათობით ებრძოდნენ ამ სტიქიას და გადარჩნენ. გამოვიდნენ და ამ ხალხს ეუბნებიან, თქვენ ხართ მატყუარები, თქვენ არ გქონიათ ეს რამდენიმე საათიანი ბრძოლა სტიქიასთანო.

ამას რატომ აკეთებენ? იმიტომ, რომ თავი გადაირჩინონ. მათთვის ადამიანის ღირებულებას არანაირი ფასი არ აქვს. ერთადერთი ღირებულება არის ის, რომ გადარჩნენ და ძალაუფლება შეინარჩუნონ. ეგ არის რუსეთი. მთელი ამ დღეების განმავლობაში რასაც ვუყურებთ, ეგ არის რუსეთი – საზიზღარი, ნაბი*ვარი, ბოროტი სისტემა, რაც არის რუსეთი და რაც არ გვინდა, – აცხადებს ზურა ჯაფარიძე.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსეთი 31 წლის განმავლობაში ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო, რომ საქართველო აფხაზეთში შევიდა“

## თამაზ ხუბუა: „აფხაზეთში ომი არ იქნება. ადამიანებთან მოლაპარაკება აუცილებელი იქნება. ზოგი ამას შეიძლება პესიმისტურად უყურებს, მაგრამ ნდობის აღდგენას ალტერნატივა არ აქვს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ხუბუა პასუხობს.



***– ბატონო თამაზ, აფხაზეთის ომის დაწყებიდან 31 წელი გავიდა. ამ გადასახედიდან, მსოფლიოში შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით (რომელიც უკრაინაში რუსეთის შეჭრამ გამოიწვია), თქვენი შეფასებები შეიცვალა?***

– უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიულ მთლანობას შეწირულ ყველა ადამიანს, მებრძოლს თუ მშვიდობიან მოქალაქეს, ყველას ხსოვნას პატივს მივაგებ. საქართველოს უახლეს ისტორიაში უბედურება დატრიალდა, რაც მოუშუშებელი ტკივილია. საომარი მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

თვითონ განზრახვა აბსოლუტურად მისაღები იყო. შეიძლება, აფხაზეთისკენ დაძრული ჯარის თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა სახელმწიფოსა და ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეესაბამებოდა, სარკინიგზო სადგურები და რკინიგზაზე მოძრავი ეშელონები დაეცვა, რაც ყურადღებას ნამდვილად საჭიროებდა.

სამწუხაროდ და ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ მიერ დაშვებული იქნა საპოლიციო ძალებთან ერთად, სხვა ძალების გაგზავნაც და უფრო მასშტაბური საომარი მოქმედების წინა პირობები შეიქმნა, რაც შემდეგ ომში გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მხრიდან კეთილგანწყობა იყო ჩადებული იმ შეიარაღებული, ადამიანების გადაადგილებაში, მხედველობაში მაქვს თავდაცვის სამინისტროს რალაც ნაწილებისა და პოლიციის ძალების გადაადგილება, შექმნილი ვითარება ჩვენმა მტრებმა ვერაგულად გამოიყენეს, განსაკუთრებით, რუსეთმა.

ისეთი წინაპირობები შეიქმნა, რომ სეპარატისტულად განწყობილ ძალებთან ერთად, რუსეთმა ამ ომის დაწყების ინიციატივა აილო. მთელი 31 წლის განმავლობაში ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, თითქოს საქართველო აფხაზეთში შევიდა და თითქოს აფხაზთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს საფუძველი ჩაუყარა.

სინამდვილეში ასე არ ყოფილა. გენოციდი და ეთნოწმენდა პირიქით, ქართველებს მოუწყვეს. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას ძალიან სწორი განზრახვები ჰქონდა აფხაზეთში საპოლიციო ძალების გაგზავნასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთმა და სეპარატისტულმა დაჯგუფებამ პროვოცირება მოახდინა და საომარი მოქმედებები სულ სხვა ასპექტში გადაიზარდა – ძმათა მკვლელი ომი მივიღეთ.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებები გარდუვალი იყო. 1992 წელს დაიწყებოდა, 1993 წელს თუ 2000 წელს, რუსეთს ომის დაწყების რეალური განზრახვა ჰქონდა და დაიწყო კიდეც.

ამიტომ მე არ განვეკუთვნები ოპტიმისტთა იმ ნაწილს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ უფრო მოფიქრებულად, გააზრებულად რომ გვემოქმედა, არ ავჩქარებულიყავით, ამ კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა. ეს გულუბრყვილო ფიქრია. საქართველოსთან ომი რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა. უბრალოდ, ომისთვის მაშინ კარგი ნიადაგი შეიქმნა. აქეთ საქართველოს ხელმძღვანელობაშიც საქმე დაწყობილი არ იყო. ქვეყანას დროებითი ხელისუფლება მართავდა. მეორე ჯგუფი აცხადებდა, რომ სამხედრო პუტჩით გადააყენეს, რაც რეალურადაც ასე იყო.

***– საქმე, რეალურად, თბილისში მომხდარმა პუტჩმა არია.***

– დიახ. ქვეყენაში სამოქალაქო ომი და გარე მტრულ ძალებთან დაპირისპირება ერთდროულად ხდებოდა.

***– პუტჩით ოკუპანტებისთვის საქმე გაადვილდა.***

– ასე იყო. ამას მოჰყვა ვერაგული დადგენილებების მიღება და ხელშეკრულებების დადება, საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა. ბოლოს კი, სოხუმის დაცემა და, დღეს, ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს 20%-ზე მეტი ოკუპირებულია.

გეოპოლიტიკური პრობლემები აფხაზეთს განსაკუთრებით ეხებოდა. ამდენად, რუსეთმა ამ რეგიონში 1992-93 წლების საომარი მოქმედების დროს თავის მიზნებს ძალდაუტანელბლად მიაღწია.

***– საბოლოოდ, 2008 წლის შემდეგ, ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში ორი ბაზა განალაგა და თავისი ყოფნა კავკასიაში გააძლიერა.***

– ეგ ვითარება დღესაც გრძელდება. მიმდინარეობს აღიარებული მცოცავი ანექსია, ეკონომიკური ანექსია, რუსეთთან სოციალ-ეკონომიკური სივრცის ჰარმონიზაცია აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებასთან ერთად, რაც, ჩვეულებრივად, საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ძალადობრივი მიტაცებაა.

ამ პროცესის ინტერნაციონალიზაცია, ანუ საერთაშორისო პოლიტიკური და ჰუმანიტარული ორგანიზაციების ჩართულობა, ჯერჯერობით, ეფექტური არ არის, გაეროს უშიშროების საბჭო ძალიან უსუსურად და არაფრისმთქმელად გამოიყურება, საერთოდ, მის მიერ მიღებული 30-ზე მეტი გადაწყვეტილებით.

თუ უახლეს პერიოდში რეგიონში მიმდინარე საომარმა მოქმდებებმა და გეოპოლიტიკური ცვლილების პერსპექტივამ, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ხელი არ შეუწყო, შეიძლება, დაკონსერვებული კონფლიქტის რეესტრში გადავიდეს.

***– ანუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ის გეოპოლიტიკური ცვლილებები, რასაც უკრაინის ომი იწვევს, ისეთ ცვლილებებს არ გამოიწვევს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია მოხდეს?***

– მე ამ პროცესების განვითარებას იმედით ვუყურებ, ვხედავ, რა, უკრაინელი ხალხის გმირულ წინააღმდეგობას და საერთაშორისო – დასავლეთის სამხედრო გაერთიანებების მხარდაჭერას უკრაინისადმი,

***– რა მხარდაჭერაც ჩვენ არცერთ ომში (არც გასული საუკუნის 90-იან წლებში და არც 2008 წელს, სამწუხაროდ, არ გვქონდა.***

– დიახ, მხარდაჭერა არ გვქონია და ამას ვაცხადებთ. ჩვენი ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მთავრობამ გააჟღერეს, რომ 2008 წელს სწორი შეფასებები რომ ყოფილიყო, უკრაინის ომი არ იქნებოდა.

***– მაშინდელი შეფასებით, რუსეთმა ძალას გადაამეტა, ანუ „უფლება ჰქონდა“ ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილიყო და გარკვეული ძალა გამოეყენებინა, მაგრამ ძალას გადაამეტა, როდესაც ოკუპაცია გაფართოვდა.***

– როგორ შეიძლება ეს ადეკვატური შეფასება იყოს. დღეს უკრაინას ყველანაირად ეხმარებიან, პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით. ნელ-ნელა იწყება უკრაინაზე ეკონომიკური დახმარება, რაც მაშინ საქართველოს არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით 5 თუ 6 ქვეყნის პრეზიდენტის ჩამოსვლას და ამერიკის ჩარევას, რომ დედაქალაქთან 20 კილომეტრამდე მოსული რუსეთი შეეჩერებინა.

ამ გარემოებებმა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებას ხელი შეუწყო. 15 წელი გავიდა და, ჯერჯერობით, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ იხსნება.

***– რას გულისხმობთ?***

– დღის წესრიგიდან არ იხსნება რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლად აღიარების ფაქტის დენონსაცია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გაერო დღეს უსუსური და არაფრისმთქმელი ორგანიზაცია ხდება, რომელსაც, ელემენტარულად, თავის უშიშროების საბჭოზე იმ ქვეყნების ხელმძღვანელების გამოძახება არ შეუძლია, რომლებიც საკუთარ კონსტიტუციას და საერთაშორისო კონვენციებს უხეშად არღვევენ.

მონადინებულები უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს პრობლემას ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ. ამას მიგვითითებს 14 აგვისტო, განვლილი პერიოდი, დაღუპული ბიჭების ხსოვნა, 300 ათასზე მეტი დევნილის სოციალური და პოლიტიკური დაცვის საკითხები,

ამ პრობლემების გადაწყვეტას ქვეყანა ცდილობს, მაგრამ დეოკუპაციის საკითხებს მარტო ქვეყნის მონადინება არ ეყოფა. აუცილებლად საჭიროა იმის 15-20% მხარდაჭერა, რაც ბოლო წლებში უკრაინას აქვს ფსიქოლოგიურად, მორალურად, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოსთვის ასეთი დახმარება აუცილებლად საჭიროა.

***– ანუ ცვლილებებს მაინც ელოდებით?***

– რა თქმა უნდა, ცვლილებებს ველოდები. განსხვავებული პოზიციები არის, საქართველოს ხელისუფლება თავის პოზიციებს მკვეთრად რატომ არ გამოხატავსო.

***– უკრაინის ომში რატომ არ ერთვებაო.***

– დიახ. არის ისეთი მომენტები, რომელთა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კახა კალაძე: „ალმაშენებლის გამზირზე არსებული ღია კაფე-ბარები უნდა შემცირდეს მოცულობაში“

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, ალმაშენებლის გამზირზე არსებული ღია კაფე-ბარები უნდა შემცირდეს მოცულობაში და აღნიშნული პრობლემა 25 აგვისტომდე უნდა მოწესრიგდეს. კახა კალაძემ ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. მან მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს დაავალა, თავად მოახდინონ ღია კაფე-ბარების დემონტაჟი, თუ 24 აგვისტომდე ისინი თავად არ მიმართავენ მერიას ფართობის შემცირების შესაბამისი პროექტით.



როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, ალმაშენებლის გამზირზე არსებული მდგომარეობა უცვლელი ვერ დარჩება.

– მე რამდენიმე მთავრობის სხდომის წინ ვისაუბრე ალმაშენებლის გამზირზე არსებულ კაფეებზე, ბარებზე, სადაც, ფაქტობრივად, ფეხით გავლა შეუძლებელია. გარეთ გამოტანილი აქვთ მაგიდები, სკამები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არ ვზღუდავთ, პირიქით, იცით, პანდემიის პირობებში და იმ რთულ წლებში როგორი მხარდაჭერა და თანადგომა იყო მერიის მხრიდან, მაგრამ ასე გაგრძელება, როგორც დღეს გაქვთ ეს ყველაფერი გაკეთებული, უბრალოდ კატეგორიულად მიუღებელი და შეუძლებელია.

ჩვენ ვთქვით, რომ ვიძლევით კონკრეტულ ვადას, რომ მოგეცეთ შესაძლებლობა, მოაწესრიგოთ ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც ეს ღია კაფეები უნდა შემცირდეს მოცულობაში იმისთვის, რომ ადამიანებს ჰქონდეთ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და პრობლემას არ წარმოადგენდეს თუნდაც ქვეითად მოსიარულეთათვის, პრობლემას არ წარმოადგენდეს სასწრაფო დახმარების ბრიგადებისთვის, სახანძრო ავტომობილებისთვის და ა.შ. დღეის მდგომარეობით, მე რა ინფორმაციაც მაქვს, ძალიან ცოტა ადამიანმა მოგვმართა იმისთვის, რომ მოეწესრიგებინა თავისი სივრცე, თავისი კაფე-ბარების არეალი. ეს ძალიან ცუდია, თუ ვინმე ფიქრობს იმას, როგორც არის დღეს, ასე დარჩება და ასე შეძლებთ მუშაობის გაგრძელებას, ტყუილია, არ გამოვა ასე, იმიტომ, რომ ჩვენთვის, როგორც თქვენ ხართ მნიშვნელოვანი, თქვენთან დასაქმებული ადამიანები არიან მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია იქ მცხოვრები ოჯახები, იქ მიმსვლელი ადამიანები, რომლებიც იყენებენ აღნიშნული ქუჩის მონაკვეთს და ვიზუალურადაც გემოვნების თემაა, მაგრამ ძალიან მძიმე სანახავია, თუ როგორ არის ეს ყველაფერი გაკეთებული და თუნდაც შეფუთული. შესაბამისად, ჩვენი არქიტექტურის სამსახურიც მზად არის თანამშრომლობისთვის.

მინდა გითხრათ, რომ ეს გონივრული ვადა თავდება, დასასრულს უახლოვდება, აგვისტოს 25 რიცხვამდე თუ არ იქნება მოწესრიგებული აღნიშნული სივრცეები კანონის ფარგლებში, ჩვენი შესაბამისი სამსახურები, მუნიციპალური ინსპექცია თავად განახორციელებს აღნიშნულის დემონტაჟს. გეძლევათ უფლება და გავალებთ მუნიციპალურ ინსპექციას, 24 აგვისტომდე თუ არ იქნება შემოსული შესაბამისი წინადადებები არქიტექტურულ ნაწილში, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის რეგულაცია და მოწესრიგება, რა თქმა უნდა, უნდა ვიმოქმედოთ და მოვაწესრიგოთ, რადგან უამრავი ადამიანი გამოთქვამს გულისტკივილს, – განაცხადა კალაძემ.

# ნინო წილოსანი: „ირაკლი კობახიძეს კანიბალების შემოტევა აქვს“



– ისევ ორი, რადიკალურად განსხვავებული საქართველოს ამბავია: ერთი – საბედნიეროდ პატარა ნაწილი, ჩასაფრებული, აგრესიული, გაბოროტებული, ძალადობრივი, ღვარძლიანი, მოდელირებული, ილუზორული და მეორე – ყველა სხვა დანარჩენი. ყველაფერი სწორხაზოვნად და ერთმნიშვნელოვნად რომ უნდათ მიიღონ, ეს ის ადამიანები არიან, სხვა შემთხვევაში ჩაგქოლავენ... როცა მათ არ სურთ, მოსაზრებაც კი არ უნდა გამოთქვა, ვინაიდან მსჯელობა არც კი განიხილება. მაშინ, როცა საქართველოს უდიდეს ნაწილს ამ მძიმე ტრაგედიის გამო ღამეები არ გვეძინა, ეს მცირე ნაწილი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სათავისოდ როგორ გამოეყენებინა ეს ვითარება.

ირაკლი კობახიძეს რომ ამ კანიბალების შემოტევა აქვს, განსხვავება მათ შორის ხომ ასეთი ნათელია... მინდა დიდი პატივისცემა გამოვუცხადო სტიქიას გადარჩენილ თითოეულ მოქალაქეს, ძალიან მახარებს, რომ მოახერხეთ და შეძელით ამ საშინელი ტრაგედიისგან თავის დაღწევა, – წერს ქართული ოცნების დეპუტატი ნინო წილოსანი კობახიძის განცხადებების კრიტიკის პასუხად, სადაც მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, შოვის სტიქიას გადარჩენილები ტყუილებსა და სპეკულაციებში დაადანაშაულა.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „რა თქმა უნდა, შს მინისტრი მოვა ინტერპელაციაზე“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი ამბობს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით პარლამენტში ინტერპელაციაზე მივა და ყველა საკითხზე ამომწურავად ისაუბრებს.



– რა თქმა უნდა, მინისტრი მოვა ინტერპელაციაზე და ყველა საკითხზე ამომწურავ პასუხს გასცემს. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებას ხელისუფლების მხრიდან უკვე აქვს ამომწურავი პასუხები გაცემული, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

ცნობისთვის, გომელაური ინტერპელაციის წესით პარლამენტში შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიბარა. ფრაქციის თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ საკანონმდებლო ორგანოში წერილი გუშინ, 14 აგვისტოს, დაარეგისტრირა.

როგორც ენმ-ში ამბობენ, მათ შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით აქვთ კითხვები – ერთ-ერთი კითხვაა, თუ რა გახდა სამძებრო-სამაშველო ოპერაციის დაგვიანების მიზეზი?

რაჭაში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. ამ დროისთვის დადასტურებული ინფორმაციით, სტიქიას 25 ადამიანი ემსხვერპლა, მათგან 20 იდენტიფიცირებულია. 8 ადამიანს კი მაშველები ამ დრომდე ეძებენ.

შოვში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსეთში ძირძველი მოსახლეობის ხმა დახშულია“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის შესაძლო დაშლა საქართველოს საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. ამაზე აქტიურად მსჯელობენ ხოლმე (როცა სტიქია არ გვიტევს) კერძო საუბრებში არაპოლიტიკოსებიც კი. ოკუპანტი რუსეთის ერთიანობის რღვევის საკითხი კრემლის უკრაინაში შეჭრის შემდეგ გააქტიურდა. ხალხები და ეთნოსები, რომლებიც თავს მოსკოვის მიერ დაპყრობილად მიიჩნევენ, რეგულარულად იკრიბებიან „რუსეთის თავისუფალ ხალხთა ფორუმებზე“. ბოლო ასეთი ფორუმი ტოკიოში გაიმართა. კრემლისგან ეროვნული რესპუბლიკების გამოყოფა (შესაძლო გამოცალკევება) თავისთავად მოიტანს ცვლილებებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ და „აღიარებულ“ საქართველოს რეგიონებში.

რუსეთის კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი განხილვის საგანი გახდა უკრაინაშიც, სადაც გაიმართა სიმპოზიუმი. მისი მონაწილეები იყვნენ უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი და „თავისუფალ ერთა ლიგა“ (რუსეთის ეთნოსები). ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილეს, ვოლოდიმირ ტილიშჩაკს თათარსტანის თავისუფალი მედია ესაუბრა. ის ახსენებს საქართველოსაც, რომელსაც რუსეთთან არაერთხელ უომია.



## „უკრაინელები არა ვართ უბრალოდ თავისუფლებისმოყვარე ხალხი, ჩვენ, გამარჯვების გამო, თავგანწირვისთვისაც მზად ვართ“

*— უკრაინის მხარემ ამ ომის დროს წამოსწია რუსეთის კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ომები უახლოეს წარსულშიც გაუჩაღებია. 2008 წლის აგვისტოში რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მანამდე ორი ომი ჰქონდა ჩეჩნეთში. ახლა რას უკავშირდება უკრაინის ძალისხმევა? ხდება თუ არა მოვლენების რეალური გადაფასება?*

— ჩვენ, უკრაინელები არა ვართ უბრალოდ თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომლებიც დინებას მიჰყვებიან. ჩვენ გამარჯვების გამო თავგანწირვისთვისაც მზად ვართ. უკრაინელი ხალხი დიდი ემპათიით ეკიდება მათ, ვინც იცავდა საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

90-იანი წლების დასაწისში უკრაინელები ერთ-ერთი პირველები ვიყავით, მცირე რაოდენობას შორის, ვინც მოხალისეები გააგზავნა ქართველების, მოგვიანებით ჩეჩნების დასახმარებლად.

2008 წელს უკრაინის პრეზიდენტი იყო იმ ლიდერებს შორის, რომლებიც რუსეთის აგრესიის დროს თბილისს ეწვივნენ. გარდა ამისა, უკრაინამ საქართველოს გადასცა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები. მოსკოვის კოლონიალურ ბატონობასთან ბრძოლის გამოცდილება 2014 წლამდე გვქონდა.

*— შეკრებაზე ითქვა, რომ სიმპოზიუმი გახდება პირველი ღონისძიება ციკლიდან ამ თემაზე. რას გეგმავთ?*

— მსოფლიო საზოგადოებამდე სიმართლის მიტანას რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს ბუნებაზე. ჩვენი ინსტუტუტი მუშაობს მთელ რიგ საინფორმაციო პროექტებზე, რომლებიც ააშკარავებს რუსული იმპერიალიზმის ბუნებას. ვიმედოვნებთ, რომ გაგრძელდება დიალოგი რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების ისტორიკოსებთან. საერთო ძალისხმევით გამომზეურდება ის დანაშაულები, რომლებიც ხორციელდება რუსეთის მიერ კოლონიზებული ეთნოსების წინააღმდეგ.

*— სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ეთნიკური მოძრაობები რუსეთიდან, მაგრამ არ ყოფილა რუსეთის ოპოზიცია. ეს შემთხვევითია?*

— რუსეთის მომავალზე საუბრისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ იმ ტერიტორიების მომავლიც, რომლებიც რუსეთმა სხვა ხალხებს წაართვა. ეს არის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიების 40%-ზე მეტი. ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის ხმა დახშულია თვითონ რუსეთის ფედერაციაში. ჩვენ მოვალენი ვართ, დავუთმოთ მოედანი იმ ხალხებს, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მათი მამული დაპყრობილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახა-იაკუტიისა და თათარსტანის მომავალზე უნდა ვესაუბროთ იაკუტებსა და თათრებს და არა მოსკოველ ინტელექტუალებს. ამ სიმპოზიუმზე რუსეთის ოპოზიციონერები არ მოგვიწვევია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში არ გვექნება მათთან საუბრები და დისკუსიები რუსეთის კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმზე.

*— არ ფიქრობთ, რომ ეთნიკური მოძრაობების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ შეაცვლევინონ წარმოდგენები რუსეთის მოსახლეობას რუსეთის სახელმწიფოს არსის თაობაზე?*

— რუსეთის საზოგადოების მიერ რუსეთის ფედერაციის იმპერიული კოლონიალური ბუნების გააზრება, იმპერიული კომპლექსების დაძლევა რუსეთის შემდგომი ცივილიზებული განვითარების აუცილებელი პირობაა.

რუსეთის დამარცხება ომში გახდება ერთ-ერთი პირობა ამ ყველაფრის ხელახლა გააზრებისათვის.

*— დასავლელი ექსპერტები არ არიან ერთიანი რუსეთის მომავლის საკითხში. შეუძლია უკრაინას ამ საკითხში გავლენა მოახდინოს დასავლეთის ელიტაზე?*

— დასავლეთში ერთიანობა არც საბჭოთა კავშირის საკითხზე ყოფილა. ზოგიერთი უკრაინასაც მოუწოდებდა, არ გამოსულიყო სსრკ-ს შემადგენლობიდან. საბოლოოდ, გადამწყვეტი აღმოჩნდა არა ექსპერტების მოსაზრებები, არამედ საზოგადოების პოზიცია. მათ შორის, უკრაინის საზოგადოების პოზიცია, რომელსაც დამოუკიდებლობა სურდა. ახლაც ასე იქნება, რუსეთის ფედერაციის მომავლის განსაზღვრისას საკვანძო გახდება არა ექსპერტების აზრები, არამედ იმ ეთნოსებისა და ხალხების ნება-სურვილი, რომლებიც ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებიან.

---

# ალეკო ელისაშვილი: „სტიქიას გადარჩენილი ადამიანების თავგანწირვის, განცდილი სტრესისა და შეუპოვრობის აბუჩად აგდება ნაციონალებსაც არ უკადრიათ“



**პარლამენტარი ალეკო ელისაშვილი:**

— სტიქიას გადარჩენილი ადამიანების თავგანწირვის, განცდილი სტრესისა და შეუპოვრობის აბუჩად აგდება ნაციონალებსაც არ უკადრიათ. რა ჯანდაბას უკეთებს ხალხს ეს ძალაუფლება და სკამზე ჩაბღაუჭება ამაზრზენი საყურებელია. იმის მაგივრად, ბოდიშები უხადონ გადარჩენილებს საკუთარი უმოქმედობის გამო, დგანან და ხალხს გადარჩენას აყვედრიან, საკუთარი თავგანწირვით გადარჩენას. ოცნება უნდა გავუშვათ აუცილებლად, სრულ მარაზმში არიან უკვე და ისინი არ უნდა დავაბრუნოთ, ნაციონალები.

---

# სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა

შოვში სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა.
ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაუდასტურეს.
შოვში, მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. სტიქიის ზონიდან, ამ დროისთვის, 210 ადამიანია გამოყვანილი.
ამ დროისთვის, შოვში, სტიქიის ზონაში 7 პირს ეძებენ.

---

# 26 წლის კაცმა სოცქსელში გაცნობილი მეგობარი ქალი დააბა, მისი გაგუდვა სცადა, შემდეგ კი თანხა გასტაცა

სოციალურ ქსელში დაწყებული ურთიერთობა ახალგაზრდა ქალის წამებითა და მისი დაყაჩაღებით დასრულდა. 26 წლის მამაკაცი მსხვერპლთან ნდობაში შევიდა, მასთან ნაქირავებ ბინაში რამდენიმე შეხვედრა მოაწყო, ბოლო ვიზიტისას კი მეგობარი ქალი წებოვანი ლენტით დააბა და სიკვდილით ემუქრებოდა.

წამება დიღმის რაიონში მდებარე ბინაში რამდენიმე საათი გაგრძელდა, რის შემდეგაც ბრალდებულმა ახალგაზრდა ქალი დააყაჩაღა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მამაკაცმა ქალის სახლიდან ფული წაიღო, ბრალდებულმა თანხა დაზარალებულის ბარათებიდანაც მოხსნა და საკუთარ ანგარიშზე გადარიცხა.

მიუხედავად მტკიცებულებებისა, მოსამართლემ მამაკაცი სხდომათა დარბაზიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

გირაოს ქვეშ მყოფი ბრალდებულის დაუყოვნებლივ დაკავებას ითხოვს დაზარალებული, რომელიც არ გამორიცხავს, რომ მამაკაცმა ახალი დანაშაული ჩაიდინოს.

ყაჩაღობა, სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით – ამ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავეს 5-7 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

---

# „ისლამური სახელმწიფოს“ წევრობასა და სირიაში შეიარაღებულ მოქმედებებში მონაწილეობაში ბრალდებულ საქართველოს მოქალაქეს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.



ბრალდებულს სასჯელის სახედ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებული, საქართველოს მოქალაქე ც.ტ., ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანდა და სირიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ წარმოებულ შეიარაღებულ მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. გარდა ამისა, ბრალდებული ტერორისტული ორგანიზაციის მხარდასაჭერად ტერორისტული საქმიანობის პროპაგანდას ეწეოდა.

საქართველოს მოქალაქე ც.ტ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2022 წლის 7 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სსკ-ის 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) წარედგინა.

---

# „რუსეთი 31 წლის განმავლობაში ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო, რომ საქართველო აფხაზეთში შევიდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არგათვალისწინება შეუძლებელია. ყველა ძირითად საერთაშორისო დოკუმენტში საქართველომ მხარი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა, დაგმო აგრესია. თუ საქართველო უკრაინის ომში ღიად არ ერთვება, გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

მაგალითად, მე, გაგებით ვეკიდები. რთული რეგიონია და პატარა ნაპერწკალმა შეიძლება ისე ააფეთქოს, რომ უარესი რეაქცია მივიღოთ, ვიდრე უკრაინაში მიმდინარე პროცესისაგან ველოდებით. ამიტომ ფრთხილი და გონივრული მიდგომა გვჭირდება.

ხელისუფლება ცდილობს, ეს მომენტები გაითვალისწინოს, რაც არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის ფასად ხდება, მაგრამ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას აკისრია და ზოგჯერ მაინც უნდა გავუგოთ.

*— ხომ არ იცით, თვითონ აფხაზურ საზოგადოებაში დღეს რა პოზიციაა?*

— თქვენ იცით, რომ აფხაზეთში ბევრი ნათესავი მყავს, მეუღლეც ნახევრად აფხაზია. აფხაზეთში ვითარება არ იცვლება. ზოგჯერ სასურველს რეალობად წარმოადგენენ. აფხაზეთში არ არის არც არასამთავრობო სექტორი, არც მოქალაქეთა ჯგუფები, არც პარტიები და მოძრაობები ისეთ დონეზე, რომ სეპარატისტების ადგილობრივ ორგანიზაციას შეეწინააღმდეგონ.

ძალიან დიდი შიშია გამეფებული. გაწამებულად ცხოვრობენ. ომს მათთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ენთუზიზმით ეკიდებიან საქართველოს ქება-დიდებას.

გალში ქართული ენის სწავლება კატასტროფულ მდგომარეობაშია. ქართველ მოსწავლეებს აფხაზურ, რუსულსა და ინგლისურ ენებს, ინგლისურ ლექსებს ასწავლიან. ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობენ, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ კულტურული გენოციდი მიმდინარეობს. კულტურული გენოციდი ფიზიკურსა და საომარ გენოციდზე უარესია.

ჩვეულებრივად გრძელდება კულტურის ძეგლების ფორმისა და სახის შეცვლა. მრჩევლები ჰყავთ, რომლებიც ამ საკითხს „ჭკვიანურად“ უდგებიან და ყოველივე ქართულის ამოძირკვას ცდილობენ. აღნიშნული საკითხები დიდ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ მხოლოდ ჩვენ ვერ მოვაგვარებთ.

საჭიროა, გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა გარკვეული ბიძგი მისცეს. მეც ამის იმედი მაქვს. შეიძლება მყისიერად შეიცვალოს დამოკიდებულოება ცალკეული მიმართულებებით.

მედიასაშუალებები ხშირად რომ აცხადებენ, ზაფხულის სეზონს მშვიდად ატარებენო, ასე არ არის. დაძაბული ვითარებაა. ძალიან ბევრი ფიქრობს, აფხაზეთს გაეცალოს, თუ რამე საშუალება აქვთ, მიდიან. აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლების დამოკიდებულებით, მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ არიან.

აფხაზეთში ომის ვეტერანები და ისეთი მოძრაობები, რუსეთის გადაწყვეტილებას, აფხაზეთის მიტაცების საკითხში, სრულად არ ეთანხმებიან, მაგრამ ეს იმდნად მყიფე და არამასიურია, რომ შეუძლებელია, გარკვეული ეპიზოდური გამოვლინებების იმედად ვიყოთ (აფხაზეთს და თბილისს თავი დავანებოთ), რომ ისინი სუფთა აფხაზურ პოლიტიკას გაატარებენ.

*— საინტერესია, ოჯახებში რას ამბობენ, თუკი აფხაზეთის დაბრუნებისთვის შესაბამისი ვითარება შეიქმნება, საზოგადოება, ხალხი რას იტყვის?*

— დღეს არსებული მდგომარეობით, იქ მცხოვრები ხალხი მზად არ არის იმისათვის, რომ თვითონ შესძლოს რაღაცის შეცვლა. თუ საერთო გადაწყვეტილებას მივაღწევთ და რაღაცები შეიცვლება, რა თქმა უნდა, ისინიც წინააღმდეგები არ იქნებიან, ისევ ქართველებთან ერთად იცხოვრონ, მაგრამ ეს დამოკიდებულება მასიური ხასიათის არ არის, ცალკეული გამოვლინებებია იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ-აფხაზური ოჯახებია, ნათესაური კავშირებია.

ახალგაზრდობაში ისეთი ტენდენციები არ არის, რომელიც იმედისმომცემი იქნება, რომ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების იმედებს გამოთქვამენ. ის ძალები უფრო ძლიერები არიან, რომლებიც არსებული მდგომარეობით კონფორტის მიღებას ცდილობენ, ვიდრე ის ძალები, რომლებიც ჩუმად, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ ერთიან საქართველოსთან ერთად ცხოვრებაზე უარის თქმით, შეცდომაა დაშვებული.

*— მაშინ როგორ წარმოგიდგენიათ მათთან მოლაპარაკება? ხელისუფლება მუდმივად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ტერიტორიული მთლიანობა მოლაპარაკების გზით უნდა აღდგეს.*

— მე ამის მომხრე ვარ. დიდი იმედი მაქვს, უკრაინელი ხალხი გაიმარჯვებს და აგრესორი რუსეთი დამარცხდება, მაგრამ მაშინაც საქართველოს მთავრობა აფხაზეთში ომითა და ჯარით არ შევა. აუცილებლობით გამოწვეული შეგნების ამაღლებით, მოლაპარაკებით პრობლემა უნდა მოგვარდეს. სხვა გზა არ არსებობს.

აფხაზეთში ომი არ იქნება. ადამიანებთან მოლაპარაკება აუცილებელი იქნება. ზოგი ამას შეიძლება პესიმისტურად უყურებს, მაგრამ ნდობის აღდგენას ალტერნატივა არ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩუტყვავილა – მსუბუქი ფორმის ინფექცია

**ჩუტყვავილა მაღალი კონტაგიოზობის (100% ) მწვავე ვირუსული ბუნების ინფექციური დაავადებაა, რომელიც ძირითადად ემართებათ ბავშვებს და ახასიათებს ბუშტუკოვანი გამონაყარი კანზე და ლორწოვანზე.**

იგი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც გადამდები ეპიდემიური დაავადება. ინფექცია გადაეცემა აეროვანი და ჰაერწვეთოვანი გზით. ვირუსი ადვილად ვრცელდება ჰაერის ჭავლით, მაგრამ არამდგრადია. სწრაფად იღუპება გარემოში. ინფექციის წყაროა ჩუტყვავილიანი ბავშვი, რომელიც გადამდებია დაავადების პირველი დღიდან გამონაყარის უკანასკნელი ქერქის ჩამოცლამდე. შესაძლებელია, ინფექციის წყარო იყოს ე.წ. სარტყელოვანი სირსველით (ჰერპესზოსტერით) დაავადებული მოზრდილი. დაავადებულის ნივთებით, ან მესამე პირით ინფექციის გადაცემა საეჭვოა. არის დაკვირვებები, რომ სარტყელოვან სირსველიანთან კონტაქტში მყოფი ბავშვი შეიძლება გახდეს ავად ჩუტყვავილით და პირიქით.

ჩუტყვავილის გადატანის შემდეგ ვითარდება მყარი იმუნიტეტი. ლეტალობა უმნიშვნელოა და გვხვდება ჩვილ ბავშვებში 0,1-0,2%, ზედდართული გართულების ან სუპერინფექციის შედეგად.

ორგანიზმში ვირუსის შეჭრის შედეგად ვითარდება ვირუსემია. ვირუსი ფიქსირდება კანის ზედა ფენაში – ეპიდერმისში. ლორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებში, სადაც მრავლდება და იწვევს უჯრედის დაზიანებას, წარმოიშობა ლიმფის შემცველი ერთ კამერიანი ბუშტუკი. უკუგანვითარება იწყება ლიმფის შეწოვით, თხელი ქერქის წარმოშობით, მისი მოცილების შემდეგ წარმოიშობა ნაზი ნაწიბური, რომელიც შეივსება და მალე ქრება. უმეტესად დაავადება მსუბუქად მიმდინარეობს, ორგანიზმში გამომუშავდება ანტისხეულები, რომელთა ტიტრი მატულობს, რასაც გამოჯანმრთელება მოსდევს.

მძიმე მიმდინარეობის დროს, ბუშტუკოვანი გამონაყარი არა მარტო კანზე და ლორწოვანებზეა, არამედ შინაგან ორგანოებშიც ვითარდება (ფილტვებში, თირკმელში, ღვიძლში და სხვ.). ინკუბაციური პერიოდი 13-15 დღეა. იშვიათად შეიძლება გაგრძელდეს 22 დღემდე. დაავადება იწყება ტემპერატურის მომატებით (37-38 გრადუსამდე), საერთო სისუსტით, მადის დაქვეითებით.

გამონაყარი პაპულებისა და კვანძების სახითაა, რომლებსაც სწრაფი ევოლუციური გარდაქმნები ახასიათებს. სახელდობრ, ერთი დღის მანძილზე პაპულებიდან შეიძლება წარმოიშვას ბუშტუკები, პუსტულები და კიდეც დაიქერქოს. დამახასიათებელია ჩუტყვავილის ელემენტის ფართო, წითელ ფუძეზე ჯდომა. გამოყრა ატარებს ტალღოვან ხასიათს და გრძელდება 2-3 დღე. ჩუტყვავილას გამონაყარი პოლიმორფულია (მრავალფეროვანია) და არა – ეტაპური. ამ დროს კანს ერთდროულად ხვდება გამონაყარის ყველა ელემენტი; კვანძი, ბუშტუკი, ქერქი. გამოყრის ტალღას წინ უსწრებს ტემპერატურის აწევა. ავადმყოფს აწუხებს კანის ქავილი და საერთო მდგომარეობა უარესდება. დაავადების დასაწყისში იშვიათად შესაძლოა მაღალი ცხელების ფონზე გამონაყარი ქუნთრუშის მაგვარი იყოს. ასეა, როდესაც ჩუტყვავილის მიმდინარეობა ხდება ალერგიული ბუნების მქონე ბავშვებში.

გამონაყარისა და ზოგადი მდგომარეობის მიხედვით, არჩევენ დაავადების მსუბუქ, საშუალო და მძიმე ფორმას. მცირეწლოვანი ასაკის, ხელოვნურ კვებაზე მყოფი და დისტროფიული მოვლენების მქონე ბავშვებში ჩუტყვავილამ შესაძლოა მიიღოს მიმდინარეობის მძიმე ფორმა და



წარმოიშვას ეჭვი ყვავილზე (უმძიმესი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ამჟამად აღარ გვხვდება).

ჩუტყვავილას მძიმე ფორმებია პუსტულოზური, განგრენოზული, ჰემორაგიული, ბულოზური. აღნიშნული იშვიათი მძიმე ფორმები ერთ სტადიაში მყოფი ელემენტების სურათს იძლევა მაღალი სიცხით და ზოგადი მძიმე მდგომარეობით.

ყველაზე საშიშია ჰემორაგიული (სისხლმდენი) ფორმა, რომლის დროსაც ბუშტუკებში ჩაიქცევა სისხლი. ლორწოვანებზე და კანზე ვითარდება სისხლჩაქცევები. იწყება ცხვირიდან სისხლის დენა, სისხლიანი ღებინება, დისტროფიულ ბავშვებში შესაძლოა განვითარდეს ფილტვების ანთება, შუა ყურის ანთება, წითელი ქარი, ფურუნკულოზი, ენცეფალიტი, სეფსისი და სხვა. პროგნოზი, უმეტეს შემთხვევაში, კარგია.

მსუბუქი მიმდინარეობის დროს გამონაყარი იშვიათია, ლორწოვანი გარსები უცვლელია. ტემპერატურა ნორმალური ან მცირედ მომატებულია. ბუშტუკი ერთკამერიანია, კანის ზერელე შრეში მჯდომი. ამიტომაცაა, რომ ქერქის მოცილის შემდეგ წარმოიშობა ნაზი ნაწიბური, რომელიც შეივსება და ქრება ერთი კვირის მანძილზე.

ჩუტყვავილის შემთხვევების უმრავლესობა მსუბუქად მიმდინარეობს, რის გამოც დაავადება მცირე ინფექციებს ეკუთნის და სრული განკურნება 10-12 დღეში დგება.

ჩუტყვავილას დიაგნოზი ისმება შემდეგი კლინიკური ნიშნების საფუძველზე; ბუშტუკოვანი გამონაყარი გამჭვირვალე შიგთავსით, გამონაყრის პოლიმორფიზმი – ერთდროულად კვანძოვანი, ბუშტუკოვანი და ქერქოვანი ელემენტების არსებობა. გამონაყარის ყოველ ახალ ტალღას თან ახლავს ტემპერატურის მატება და საერთო მდგომარეობის გაუარესება. გამონაყარი გამოფენილია არათანაბრად და არ ახასიათებს ეტაპურობა.

ჩუტყვავილა უნდა განვასხვავოთ კანის ჩირქოვანი ხასიათის გამონაყარისგან, ნასიცხისგან. ჩირქოვანი გამონაყარის (პიოდერმიის დროს) ბუშტუკის შიგთავსი ჩირქოვანია, მისი ქერქი უხეშია და უმეტესად შემოფარგლულია გარკვეულ უბანზე.

მკურნალობაში ძირითადი ყურადღება ექცევა მეორადი ჩირქოვანი ინფექციის პროფილაქტიკას. დიდი მნიშვნელობა აქვს კანის სისუფთავეს. ყოველდღიურად უნდა გამოიცვალოს საწოლისა და ბავშვის თეთრეული. კარგია ჰიგიენური აბაზანა. გამონაყარზე ფრთხილად უნდა წაუსვათ ბრილიანტის მწვანის („ზელიონკა“) 1-2%-იანი სპირტიანი ხსნარი. გართულებების შემთხვევაში აუცილებელია ანტიბიოტიკების ჩართვა. სასურველია, ავადმყოფმა მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე.

ვფიქრობ, საკმარისი ინფორმაცია მოგაწოდეთ ჩუტყვავილას შესახებ, მაგრამ, ძვირფასო მშობლებო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაავადების შემჩნევისას არ მიმართოთ უბნის ექიმს. ექიმის ჩართვა აუცილებელია. მან უნდა გაატაროს მთელი რიგი ეპიდლონისძიებები, რათა დაავადება არ გავრცელდეს ბავშვთა სხვა კონტინგენტზე.

# რა ნიშნები აქვს ინფექციურ მონონუკლეოზს

**ინფექციური მონონუკლეოზი მძიმე დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურით, ზოგადი სისუსტით, ინტოქსიკაციით, ანგინით, პერფირეული ლიმფური კვანძების, ელენთისა და ღვიძლის გადიდებით;**
**დაავადება პირველად 1885 წელს რუსმა პედიატრმა ფილატოვმა აღწერა, ხოლო 1889 წელს კი – პფეიფერმა ჯირკვლოვანი ცხელების სახელწოდებით, როგორც ბავშვთა ინფექციური დაავადება.**

1885 წლიდან დღემდე ამ დაავადებამ 60-მდე სახელწლოდება შეიცვალა, იმისდა მიხედვით, თუ მკვლევარები რომელ კლინიკურ ნიშანს აძლევდნენ უპირატესობას. დღეისათვის მიღებულია ტერმინი ინფექციური მონონუკლეოზი. უკანასკნელ წლებში დაავადებულთა მატება იგრძნობა, ზოგჯერ ეპიდემიური ხასიათიც აქვს. ინფექციური მონონუკლეოზი გაცილებით მეტი სიხშირით არსებობს, ვიდრე გამოვლინდება. ძირითადად ბავშვები ავადდებიან. შემთხვევათა დიდი ნაწილი მიმდინარეობს მძიმე ფორმით, მაგრამ სიკვდილით იშვიათად მთავრდება.

დაავადება გადაეცემა ჰაერ-წვეთოთანი გზით. დაავადება გვხვდება წელიწადის ნებისმიერ დროს, მაგრამ მატულობს შემოდგომა-ზამთრის პერილდში.

ვირუსის შეჭრა ადამიანის ორგანიზმში რადგან ცხვირ-ხახის გზით ხდება, იწყება ჰიპე-



რემია, ანგინა, ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელება. პირველ რიგში ყბისქვეშა და კისრის ლიმფური კვაძების გადიდება ამტკიცებს დაავადების არსებობას. ინფექციური მონონუკლეოზის წამყვანი კლინიკური ნიშნებია: სხეულის ტემპერატურის მკვეთრი მატება, 38-39 გრადუსამდე, ღვიძლის, ელენთისა და ლიმფური კვანძების გადიდება, ანგინა, გაძნელებულია სუნთქვა, ბავშვები უმეტასად პირღიად ხრიალით სუნთქავენ. დამახასიათებელია კონიუქტივიტი, გამონაყარი სახეზე, ქუთუთოების შეშუპება. დაავადების გამოსავლენად ყველა სიმპტომის არსებობა სავალდებულო არ არის. რამდენიმე ნიშანი სრულიად საკმარისია სწორი ორიენტაციის ასაღებად.

სისხლში ცვლილებები დაავადების მე-4-მე-5 დღიდან ვლინდება. ძირითადად ამავე პერიოდიდან იწყება დაავადების საინკუბაციო პერიოდი და გრძელდება 20-25 დღემდე. დაავადება უმეტესად მაღალი სიცხით იწყება, თუმცა შეიძლება ტემპერატურა დაბალიც იყოს და მოულოდნელად აიწიოს. ავადმყოფი სუსტადაა, აწუხებს თავის, სახსრების ტკივილი. ამ დროს ვლინდება ანგინაც. დიდდება ლიმფური კვანძებიც. იღლიისა და კისრის ლიმფური კვანძები მკვრივი კონსისტენციისა, ოდნავ მტკივნეული ხდება. ტემპერატურის დაწევასთან ერთად ხდება ლიმფური კვანძების გაწოვაც, მაგრამ პროცესი შეიძლება ნელა წარიმართოს და კვანძები რამდენიმე კვირის განმავლობაში დარჩეს.

მონონუკლეოზს ახასიათებს კანზე ქუნთრუშისმაგვარი, წითურისებრი, კვანძოვანი გამონაყარი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკისთვის, ისევე, როგორც ღვიძლისა და ელენთის გადიდება. ელენთის გადიდება იწყება მე-3-მე-4 დღიდან, მკვრივი კონსისტენციის ხდება, თუმცა უტკივნეულოა. იშვიათად ხდება ელენთის ძლიერი გადიდებაც, აღწერილია ელენთის სპონტანური გახეთქვის შემთხვევებიც.

ინფექციური მონონუკლეოზის ყველა ფორმის მიმდინარეობისას ღვიძლი ზიანდება. ღვიძლის გადიდებაც, ისევე როგორც ელენთის, მე-3-მე-4 დღიდან იწყება. ის რბილი კონსისტენციისა და უტკივნეულოა. მისი ზომაში შემცირება ტემპერატურის დაწევიდან მე-2-მე-3 დღეს იწყება და ძალიან ნელა მიმდინარეობს.

მონონუკლეოზის დროს იშვიათად, მაგრამ შეიძლება დაზიანდეს პერიკარდიუმი, მოიკარდიუმი და ენდოკარდიუმი, ცვლილებები ელექტროკარდიოგრამითაც მკვეთრად ჩანს.

ცვლილებები სუნქვის ორგანოების მხრივ იშვიათობაა. აღინიშნება პათოლოგიური ცვლილებები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ. სისხლში მომატებულია ლიმფოციტების, მონოციტების რაოდენობა, ედს შეიძლება აჩქარებული იყოს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნორმის ფარგლებში რჩება.

არსებობს მონონუკლეოზის ქრონიკული ფორმაც, რომელიც საკმაოდ იშვიათობაა.

ინფექციური მონონუკლეოზით დაავადებულს უმჯობესია წოლითი რეჟიმი დაენიშნოს, მიეცეს ცე და ბე ჯგუფის ვიტამინები. აუცილებლად მაღალკალორიული, ყუათიანი საკვებით უნდა იკვებებოდეს. თუ დაავადება მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს, შეიძლება ასეთი მკურნალობა საკმარისი აღმოჩნდეს საბოლოო განკურნებისთვის. მძიმე ფორმის დროს საჭირო ხდება სხვადასხვა ანტიბიოტიკების დანიშვნა და ზოგჯერ კორტიკოსტეროიდების გამოყენებაც.

ინფექციური მონონუკლეოზის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა დაავადების დროულ გამოვლენას, ავადმყოფის იზოლაციას და დროულ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასაც აქვს.



# ალექსანდრე ლორთქიფანიძე: „ქართულ ლიტერატურას აუცილებლად ექნება დიდი და ბრწყინვალე მომავალი“

**გადაცემა „წიგნების თაროს“ წამყვანი, მწერალი ალექსანდრე ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ ქართულ ლიტერატურას დიდი და ბრწყინვალე მომავალი ექნება:**

– ძალიან მიმძიმს ამჟამად საერთოდ რაიმეზე წერა, შოვის ტრაგედიის შემდეგ, სხვა ველარაფერზე ვფიქრობ. ტელეფონში მსხვერპლი ბავშვების ფოტო გადმოვწერე და გაღვიძება-დაძინებისას ვუყურებ, მგონია, რომ ჩემი ვალია მახსოვდეს, ვგრძნობდე, განვიცადო და ეს გლოვა დიდხანს არსად წავა.

ფეისბუქზეც დიდი ხანია ისედაც აღარ შემოვდივარ. მაგრამ მთელ ამ მიზეზთა მიუხედავად, შეუძლებელია ორი სიტყვა არ დავწერო მწერალთა სახლის ამბებზე.

ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმაც კი არ იცის, რომ 2 წელია, მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვარ. ამ 2 წლის განმავლობაში დანარჩენ წევრებთან, ჩემზე კიდევ მეტად კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად არაერთი ისეთი პროექტის მომზადებაში მივიღე მონაწილეობა, რაც ქართულ ლიტერატურას უდავოდ წაადგება. ქართული წიგნების უცხოური თარგმანები, უცხოური წიგნების ქართული თარგმანები, საერთაშორისო ფესტივალები, წიგნის ბაზრობები, თბილისის ლიტერატურული ფესტივალი და ა.შ. ჩემი წვლილი საერთოდ რა მოსატანია, მწერალთა სახლის გუნდი აკეთებდა ამ ყველაფერს, გუნდი, რომელიც იმდენად კომპეტენტურია ამ საკითხში, რომ აბსოლუტურად, ბრმად ვენდობი.

როდესაც თანამედროვე ქართული ლიტერატურის მდგომარეობაზე მეკითხებიან, ყოველთვის დიდი იმედით აღვსილი ვპასუხობ ხოლმე, რომ ძალიან კარგი ძვრებია, მსოფლიო ნელ-ნელა ინტერესდება ქართველი ავტორებით, ჩნდება მეტი კონტაქტები და ა.შ. და მთელი აი ეს განწყობა, ამ ადამიანების დამსახურებაა. საქმეს აკეთებდნენ წყნარად, ზედმეტი ხმაურის გარეშე, სიყვარულითა და ენთუზიაზმით, სამეთვალყურეო საბჭოც ანალოგიურად, მათ კვალზე.



თანამედროვე ქართული ლიტერატურის ბოლოდროინდელი გამოცოცხლება დიდწილად არის ნატა ლომოურის გუნდის დამსახურება, მათი ზრუნვის შედეგი, რათა საქართველო მსოფლიო ლიტერატურული ოჯახის მნიშვნელოვან წევრად ქცეულიყო. ამ გუნდს ჰქონდა მწერლების აბსოლუტური ლეგიტიმაცია. ვინმე იკითხავს, რომელი მწერლებისო. გეტყვით, მე არ მეგულება საქართველოში მწერალი თუ ლიტერატორი, რომლისთვისაც მწერალთა სახლის კარი დაკეტილი იყო, ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების, ნებისმიერი ლიტერატურული გემოვნების ადამიანს ეთმობოდა ადგილი, მწერალთა კავშირსაც თავისი დრო და სივრცე ჰქონდა და უკავშიროებსაც, ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც, აქ სახლი ედო აბსოლუტურად ყველას, ვისაც წიგნის სიყვარული აერთიანებს.

მადლობა თითოეულ თქვენგანს, ნატა, ლელა, მაიკო, იკი, თეკლა, სოფო, ვასიკო, ნინო, ყველას, ვილაც აუცილებლად გამომრჩება და ბოდიშს ვიხდი. ოდესმე თუ ნობელი საქართველოში წამოვა, ამაში თქვენი შრომაც იქნება ჩადებული, დარწმუნებული ვარ.

პირადად ჩემი, როგორც მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, უფლებამოსილება სექტემბრის ბოლოს იწურება, თუმცა, ჩემთვის ეს პირობითია, რადგან დღეიდანვე უარს ვამბობ და აღარ მივიჩნევ აღნიშნული საბჭოს წევრად თავს.

აქ ნატაზე და ქეთიზე არაა, არც ნატას ვიცნობდი ახლოს, როცა საბჭოში მიმიწვია და არც ქეთი დუმბაძეს ვიცნობ ნორმალურად, პოლიტიკური პრეფერენციებიც ადამიანების შეფასებისას ჩემთვის მეათეხარისხოვანია, შეიძლება ვიღაც გამიწყრეს კიდეც, აბა ქოცი, აბა ნაცი. არ მაინტერესებს, ადამიანებს ამით არ ვაფასებ. შესაძლოა ჩემი ნაკლია. იყოს.

ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ ვინ იქნება მწერალთა სახლის დირექტორი, ოღონდ მთავარია ორი რამ: 1. ადამიანების დაფასება. როდესაც გუნდს ფასდაუდებელი წვლილი აქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესების დაძვრაში, მართლაც მწერლების სახლის, ულამაზესი და თავისუფალი სივრცის შექმნაში, ასეთი ადამიანები რაღაც ენამწარე პასკვილების ადრესატები არ უნდა ხდებოდნენ, პირიქით ასეთ ადამიანებს ხელს უნდა უწყობდნენ, ხოლო მათი სამუშაო ვადის დასრულება მადლობითა და პატივისცემით უნდა აღინიშნებოდეს;

2. მწერლების ლეგიტიმაცია. ნებისმიერი თანამდებობა და სტატუსი პირობითია, თუ სფეროში მომუშავე ადამიანთა ლეგიტიმაცია არ ახლავს თან. მხედართმთავარი, რომელსაც ჯარი არ აღიარებს, ანდა საფეხბურთო მწვრთნელი, რომელსაც გუნდი არ უჯერებს, მხოლოდ სახელებია და დაცლილია შინაარსისგან.

უშინაარსო სტატუსები მომავალს არ ქმნიან.

ქართულ ლიტერატურას კი აუცილებლად ექნება დიდი და ბრწყინვალე მომავალი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: პუტინს არ დააპატიმრებენ!




2013 წლის მარტს საერთაშორისო სასამართლომ რუსეთის დიქტატორის ვლადიმერ პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა. მიზეზი უკრანაში ომის გაჩაღება და ის სამხედრო დანაშაული იყო, რაც ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორიაზე ჩაიდინეს. ბუჩა, ირპენი, იზიუმი და ა.შ. მწერალმა ოქსანა ზავუჟკომაც თქვა, რომ რუსი ოკუპანტების მხეცობები შეიძლება ნაცისტების ქმედებებს შევადაროთ.

სისასტიკე რუსების ეროვნულ ხასიათშია. ამაზე უამრავი რამ მიუთითებს როგორც წარსულიდან, ისე აწმყოდან. პოლონეთში მცხოვრები ბელორუსული ოპოზიციის ლიდერი ტიხანოვსკაია ამბობს, რომ საბჭოთა პარტიზანები ბევრად უფრო სასტიკნი იყვნენ, ვიდრე გერმანელები. ტიხანოვსკაიამ ხაზი გაუსვა ხატინის ტრაგედიას. მან განაცხადა, რომ სოფელი არა ნაცისტებმა, არამედ ჩეკისტებმა გადაწვეს.

საბჭოთა პარტიზანებს საგანგებოდ გადააცვეს გერმანული ფორმა. მათი მეთაური გარუსებული ლიტველი ვაუპშასოვი ხომ გარეგნლად მართლაც გერმანელს ჰგავდა. საბჭოთა პროპაგანდამ ხატინის გამო ერთი ალიაქოთი ატეხა. მეტიც, ოდესის 2 მაისის ტრაგედიას ხატინს ადარებდნენ. ამაზე პოეტმა ზაბუჟკომ მიუგო:

ამრიგად, არსებობს საკმაოზე მეტი საფუძველი იმისა, რომ დიქტატორი პუტინი სასამართალში მისცენ.

მიუხედავად ამისა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვან სკაამმა განაცხადა, რომ პუტინს არ დააპატიმრებენ, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ის სახელმწიფო მეთაურის პოსტზე რჩება.

ვან სკაამმა არ განმარტა, თუ რა გადაწყვეტილების გამო მოხდა ასე, თუმცა, ეს ისედაც ცხადია: რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა და შესაბამისად, მისი მეთაურის დაპატიმრებაც ამ სახელმწიფოსთან კონფრონტაციას ნიშნავს, ეს კი არავის სურს.

ამრიგად, დასავლეთში, კერძოდ აშშ-ში, კვლავ შემორჩნენ ძალები, რომელთაც რუსეთთან აშკარა კონფრონტაცია არ სურთ. მეტიც, ზოგიერთი ამერიკელი სენატორი აცხადებს: უკრაინაში ომი უნდა შეწყდეს, თუნდაც ეს უკრაინული ტერიტორიების დათმობის ფასად მოხდესო.

თავის დროზე სწორედ ასეთი ძალების წრეგადასულმა სიფრთხილემ პუტინს ხელ-ფეხი გაუხსნა. მან იფიქრა, რომ მართლა შესაძლებელია ნატოს ევროპაში უკან დავახევინოთ და აშშ-ის პოზიციები შევასუსტოთო. შედეგად გულმოცემული პუტინიც უკრაინაში შეიჭრა. დღეს დასავლეთის პოლიტიკაში თითქოს შემობრუნება დაიწყო.

მიუხედავად ამისა, მრავლად რჩება გავლენიანი ძალები, რომლებიც რუსეთის მიმართ კომპრომისს ქადაგებენ.

# უკრაინის დაბომბვები გრძელდება

ფრონტზე მარცხითა და დანაკარგებით გაბოროტებულმა ოკუპანტებმა უკრაინის მასიური დაბომბვები განახორციელეს. დაიბომბა ქალაქები – დნეპრი, ლუცკი ხმელნიცკი, აგრეთვე დასავლეთ უკრაინის ცენტრი ლვოვი.

მართალია, რუსული რაკეტების უმრავლესობის ჩამოგდება მოხერხდა, მაგრამ ზოგი მათგანი მიზანს მოხვდა. შედეგად არის ახალი ნგრევა და მასიური ხანძრები.

უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთს ასეთი ოინები ძვირი დაუჯდება.

# უკრაინული არმია წინ მიიწევს



უკრაინული არმია წინ მიიწევს. ამის თაობაზე იუწყება ნეიტრალური სტრუქტურა, აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

უკრაინელებმა გაათავისუფლეს რიგი ტერიტორიები ზაპოროჟიესა და დონეცკის ოლქებში. უკრაინელები წინ მიიწევენ ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებით. ოკუპანტების მდგომარეობა სავალალოა.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, რუსები უკვე განიცდიან რეზერვების აშკარა დეფიციტს. ამიტომ პოზიციების შენარჩუნება უჭირთ.

ამერიკელი ექსპერტები თავის მხრივ აცხადებენ, რომ პუტინს მართლაც შეუძლია დამატებითი ძალების უკრაინის ფრონტზე გადასროლა, მაგრამ ეს სიტუაციას არ შეცვლის. რეზერვისტებს სჭირდებათ მომზადება და გაწრთვნა. აუცილებელია ყაზარმები მათი განთავსებისათვის. პუტინს კი ეს არ გააჩნია.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.313 (+7); „საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.370; არტილერია – 5.128 (+29); თვითმფრინავები – 315. განადგურებულია 254.920 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

*კალეიდოსკოპი*

# შეყვარებულის მიერ უარყოფილმა მამაკაცმა ხელი მის დედას სთხოვა

ჩინეთში გოგონამ თავის ბოიფრენდს ცოლად გაყოლაზე უარი უთხრა, რის შემდეგაც მამაკაცი მის დედაზე დაინიშნა.

გოგონა მამაკაცს რამდენიმე წლის წინ იმის გამო დაშორდა, რომ გადაწყვიტა, განათლების მისაღებად საზღვარგარეთ წასულიყო. მან უმაღლეს სასწავლებელში სამი წელი ისწავლა, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და ჩინეთში დაბრუნდა. როდესაც გოგონა სახლში დედასთან მივიდა, გაოგნდა. აღმოჩნდა, რომ მისი ყოფილი შეყვარებული დედამისს ხვდებოდა.

გოგონამ დედას გამოკითხვა დაუწყო. აინტერესებდა, როდის და როგორ დაიწყეს დედამისმა და მისმა ყოფილმა შეყვარებულმა ურთიერთობა. მამაკაცმა მას მკვეთრად შეაწყვეტინა საუბარი, მოულოდნელად ცალ ფეხზე ჩაიმუხლა და მის თვალწინ დედამისს ხელი სთხოვა. გაოცებულმა გოგონამ მეტყველების უნარი თითქმის დაკარგა – ყოფილი შეყვარებული მალე მისი მამინაცვალი გახდებოდა.

# ძაღლმა პატარა ბიჭი დათვის თავდასხმისგან იხსნა

ამერიკის კონექტიკუტის შტატის ქალაქ შერმანში ძაღლმა ოთხი წლის ბიჭი დათვის თავდასხმისგან გადაარჩინა. ძაღლის პატრონმა გრეგორი გრანტმა განაცხადა, რომ მისი შვილი გევინი ეზოში ერთობდა, როდესაც მოულოდნელად მის წინ შავი დათვი აღიმართა. ბავშვს შეეშინდა და გაქცევა სცადა. ამ დროს მისი დახმარება ოჯახის ძაღლმა რვა წლის ოქროსფერმა რეტრივერმა სახელად ჯეიკმა გადაწყვიტა. მან უშიშრად შეუტია მტაცებელ ცხოველს და ეზოდან გააძევა. მომხდარი სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს.

გრეგორი ფიქრობს, რომ შესაძლოა ცხოველს ბავშვისთვის გვერდით ჩაევლო და მისთვის არაფერი დაეშავებინა, თუმცა, ჯეიკმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბავშვი პოტენციური თავდასხმისგან დაეცვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

*სპორტი*

# მომავალი ევროპის ჩემპიონატის მიმავალ გზას დანიით დაიწყებს



ფიბა-მ 2025 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კალენდარი გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებიG ჯგუფში სერბეთთან, ფინეთთან და დანიასთან ერთად მოხვდა.

ჩვენი ეროვნული გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპს 2024 წლის თებერვალში სტუმრად დანიასთან მატჩით გახსნის, რასაც სერბეთის მასპინძლობა მოჰყვება; ნოემბერში ფინეთთან ორჯერ ვითამაშებთ: ჯერ სტუმრად, შემდეგ – შინ; შესარჩევ ციკლს კი, 2025 წლის თებერვალში დანიის მასპინძლობითა და სერბეთში გასვლითი შეხვედრით დავხურავთ.

ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი იასპარეზებს, აქედან ოთხი ცნობილია – კვიპროსი, ფინეთი, პოლონეთი, ლატვია. ფორმატის თანახმად, 32 ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდა. 3-3 საუკეთესო ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს, მაგრამ მასპინძლების გარეშე. ანუ, იმ ჯგუფებიდან, სადაც მასპინძლები მოხვდნენ, ფინალში ისინი და სხვა ორი საუკეთესო გავლენ.

ევრობასკეტი 2025 წლის 27 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე პერიოდში გაიმართება.

**საქართველოს ნაკრების ჯგუფის კალენდარი:**

**2024 წელი**

**23 თებერვალი:** დანია-საქართველო, სერბეთი-ფინეთი;

**26 თებერვალი:** ფინეთი-დანია, საქართველო-სერბეთი;

**21 ნოემბერი:** დანია-სერბეთი, ფინეთი-საქართველო;

**24 ნოემბერი:** სერბეთი-დანია, საქართველო-ფინეთი;

**2025**

**21 თებერვალი:** საქართველო-დანია, ფინეთი-სერბეთი;

**24 თებერვალი:** დანია-ფინეთი, სერბეთი-საქართველო.

# 19-წლამდე ნაკრებმა ჩრდილოეთ მაკედონიასთან წააგო

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა, სკოპიეში, ჩრდილოეთ მაკედონიელ თანატოლებთან მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და 0:1 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა ვასილ მაისურაძის გუნდმა 6:2 მოიგო.

წაგებულ მატჩში ერთადერთი გოლი დიმიტარ დანევმა 65-ე წუთზე გაიტანა. 3 წუთში, საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ დანიშნული პენალტი ლექსო ფეიქრიშვილმა ვერ გამოიყენა. ამის შემდეგაც შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გიორგი გოგსაძეს მასპინძელთა მეკარე ლუპჩე დეკოვმა ორჯერ აჯობა.

მაისურაძის გუნდი, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდისთვის მზადებას განაგრძობს. 19-წლამდელები ჯგუფურ ეტაპზე კვიპროსს, მოლდოვასა და ესპანეთს დაუპირისპირდებიან. საკვალიფიკაციო რაუნდს 15-21 ნოემბრის ჩათვლით საქართველო უმასპინძლებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

*კალეიდოსკოპი*

# ქალს 20 წუთში 2 ლიტრი წყლის დალევა სიცოცხლის ფასად დაუჯდა

აშშ-ში სიცხისგან შეწუხებულმა ქალმა 20 წუთში ორი ლიტრი წყალი დალია, გონება დაკარგა და გარდაიცვალა.

35 წლის ეშლი სამერსი ოჯახთან ერთად ინდიანას შტატში ტბა ფრიმანზე ისვენებდა. დიდი სიცხის გამო ქალს მოსწყურდა. მისი ძმის დევონ მილერის თქმით, მან 20 წუთში ოთხი ბოთლი წყალი დალია, დაახლოებით ორი ლიტრი.

იმ დროს ქალს რაიმე ცუდი შეგრძნება არ უგრძვნია, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, ავტოფარეხში ყოფნის დროს გონება დაკარგა და გონებაზე აღარც მოსულა. ექიმების თქმით, სითხის სწრაფად, მოკლე დროში მიღების გამო მას ტვინის ძლიერი ანთება დაემართა.

ინდიანას უნივერსიტეტის დოქტორ ბლეიკ ფრობერგის თქმით, ასეთი რამ იმ დროს ხდება, როდესაც ადამიანი სწრაფად სვამს ბევრ წყალს, ხოლო მისი ორგანიზმი ნატრიუმის ნაკლებობას განიცდის.

# მემანქანის კაბინაში სექსის გამო მატარებლმა დაიგვიანა



ესპანეთში მატარებლის გასვლა [illegible] რომ მემანქანის კაბინაში სექსით იყვნენ დაკავებულები.

9 აგვისტოს მატარებელი, რომელიც საღამოს ქალაქ ტორტოზადან ბარსელონას მიმართულებით უნდა გასულიყო, სადგურიდან 30 წუთის დაგვიანებით გავიდა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ თავის კაბინაში შესული მემანქანე თავზე წაადგა უცხო გოგონასთან სექსით დაკავებულ მატარებლის გამცილებელს.

ნანახმა მემანქანე უკიდურესად აღაშფოთა. მან უარი განაცხადა, მიკარებოდა მატარებლის მართვის პანელს, ვინაიდან სწორედ მასზე იყო წყვილი სექსით დაკავებული და მან მომხდარის შესახებ ხელმძღვანელობას აცნობა. ამის გამო ოპერატორი კომპანია იძულებული გახდა, ხაზზე ახალი შემადგენლობა გამოეყვანა. ის მატარებელი კი, რომელშიც წყვილი სექსით იყო დაკავებული ადგილზე დარჩა სანიტარულად დამუშავებისთვის.

გამცილებლის მიმართ ადმინისტრაციული საქმე აღიძრა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნაღექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# სპალეტისთან შეთანხმებას დე ლაურენტისი აფერხებს



იტალიიდან საკმაოდ მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა – „სკუადრა აძურა“ უმწვრთნელოდ დარჩა.

რობერტო მანჩინის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ბოლო პერიოდში იტალიის ნაკრებში დაგროვილი პრობლემები გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპის მოქმედი ჩემპიონი მუნდიალზე (ყატარი 2022) ვერ მოხვდა.

ასევე, გავრცელებული ხმებით, რომ იტალიის ნაკრები იმის გამო დატოვა, რათა საუდის არაბეთში წასულიყო, საიდანაც 120-მილიონიანი შეთავაზება აქვსო.

შედეგად, მანჩინის კრიტიკის ქარიშხალმა გადაურა. 58 წლის სპეციალისტი იძახის, რომ ეს სიმართლე არ არის.

**რობერტო მანჩინი:** არავინ მომიკლავს! პატივისცემას ვიმსახურებ. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ ვიმსახურებ იმ კრიტიკას, რაც ამ დღეებში თავს დამატყდა.

ჩემთვის იტალიის ნაკრები ყოველთვის პირველი და ყველაზე პრიორიტეტული იყო. ბევრი შემოთავაზება მივიღე და თითოეულ მათგანს უახლოეს კვირებში განვიხილავ, მაგრამ კონკრეტული – არაფერია. იტალიის ნაკრების დატოვებასთან საუდის არაბეთს არანაირი კავშირი არ აქვს.

იტალიურ მედიაში გავრცელებული ხმებით, ფავორიტები ორია – ლუჩანო სპალეტი და ანტონიო კონტე.

იტალიურ მედიაში წერენ, რომ ეს ცუდი ვარიანტი არ არის, მაგრამ ერთი კონკრეტული მიზეზის გამო ტექნიკურად რთულია. როდესაც სპალეტიმ ნაპოლის სკუდეტო მოაგებინა და გადაწყვიტა, გუნდიდან გამარჯვებული წასულიყო, „აძურის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა ხელი მოაწერინა, რომ თუ რომელიმე სხვა გუნდს ჩაუდგებოდა სათავეში, 3 მილიონი ევროთი დაჯარიმდებოდა.

იქაური მედია იმასაც წერს, რომ ეს თანხა იტალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის მცირე თანხა არ არის. არადა, არც მთავარ კანდიდატთან შელევა უნდა.

წერენ იმასაც, რომ იტალიელ გულშემატკივარსაც ყველა სხვა კანდიდატს ნეაპოლელთა ყოფილი თავკაცი ურჩევნია.

ამასობაში იმასაც წერენ, რომ თავად მწვრთნელი იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან პირადი კონტრაქტის პირობებზე დათანხმდა.

გავრცელებული ცნობით, მხარეები სამწლიან ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ. წელიწადში ჯამაგირად დაახლოებით 3 მილიონი ევრო სახელდება. პლუს – ბონუსები.

სპალეტის დანიშვნა უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაცხადდება.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურას“ სექტემბრის დასაწყისში ორი საკვალიფიკაციო მატჩი აქვს ჩასატარებელი ჩრდილოეთ მაკედონიისა და უკრაინის წინააღმდეგ.

რა მოხდება სპალეტის დანიშვნის შემთხვევაში? რასაკვირველია, არსებობს მოვლენათა განვითარების რამდენიმე ვარიანტი. მთავარია, ორივე მხარეს გაუჩნდეს თანამშრომლობის სურვილი და ასეთ შემთხვევაში გამოსავალი მოიძებნება.

ცხადია, ნაკრების თავკაცობის კანდიდატი მარტო სპალეტი არ არის. მანჩინის შემცვლელად ანტონიო კონტეს კანდიდატურაც აქტიურად განიხილება.

# საქართველომ შეკრება დაასრულა, სლოვენია იაპონიაში ჩავიდა

**საქართველო-ირანი 84:72**
(21:13; 23:14; 22:27; 18:18)



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ირანის ეროვნულ გუნდთან დახურული მატჩი ითამაშა და 84:72 დაამარცხა.

რადგან თამაში დახურული იყო, მატჩის ოქმიდან შევიტყვეთ, რომ არ უთამაშიათ ნაკრების ლიდერებს – თორნიკე შენგელიას, სანდრო მამუკელაშვილს, გოგა ბითაძესა და თად მაკფადენს. შედეგად, სასტარტო ხუთეულიც ძალიან განსხვავებული იყო: ანდრონიკაშვილი, ბერიშვილი, გოგიჩაიშვილი, სანაძე, შერმადინი.

სათადარიგოთა სკამზე იყვნენ – ცინცაძე, ჯინჭარაძე, ბექაური, კაკუშაძე, ლიკლიკაძე და ტურძილაძე.

მატჩში 17 ქულით საუკეთესო შერმადინი იყო, ცენტრმა 6 მოხსნაც მიითვალა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 22 იყო; კახა ჯინჭარაძემ 14 ქულას მოუყარა თავი; გიორგი ტურძილაძის ანგარიშზე 11 ქულაა; ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა ბექა ბექაურს – 9 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასიც; ასევე 9-9 ქულა მიითვალეს ლევან გოგიჩაიშვილმა და დუდა სანაძე; ლუკა ლიკლიკაძეს 8 ქულა და 4 პასი მოუგროვდა; მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 3 ქულა და 4 პასია; რატი ანდრონიკაშვილი 2 ქულასთან ერთად 5 პასი შეეწია გუნდს; დავით კაკუშაძე – 2 ქულა.

ამ მატჩის შემდეგ ილიას ზუროსმა მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საბოლოო 12-კაციანი შემადგენლობა უნდა დაასახელოს.

გუნდი იაპონიაში 17 აგვისტოს გაემგზავრება, სადაც კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს ავსტრალიასთან (22 აგვისტო) გამართავს. 25 აგვისტოს კი მუნდიალიც იწყება.

სანამ საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე წასასვლელად ჯერ კიდევ ემზადება, ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მეტოქე სლოვენიის ნაკრები იაპონიაში უკვე ჩავიდა. ცხადია, საბოლოო – 12-კაციანი შემადგენლობით.

სლოვენიელთა მთავარი მწვრთნელის ალექსანდერ სეკულიჩისთვის ერთი საკითხი იყო გადასაჭრელი – რომელ ნატურალიზებულ ამერიკელ კალათბურთელს აირჩევდა. კანდიდატი ორი იყო – ჯორდან მორგანი და მაიკ ტობი.

სეკულიჩმა არჩევანი 28 წლის ტობიზე გააკეთა, რომელიც მოსამზადებელ ეტაპზე ნაკრებს ბოლოსკენ შემოუერთდა, მაგრამ გასულ ევრობასკეტზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის წინ სლოვენიელთა კაპიტანმა და მომავალი ტურნირის ერთ-ერთმა უმთავრესმა ვარსკვლავმა **ლუკა დონჩიჩმა** ისაუბრა:

– ჩვენი უმთავრესი პრობლემა დაცვაში სუსტი თამაშია. დაბალი მაჩვენებელი გვაქვს მოხსნებშიც. მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ პერიოდში ყველაზე დიდი ყურადღება ამ ფაქტორებზე უნდა გავამახვილოთ. ფარზე ბრძოლისას განსაკუთრებული კონცენტრაციაა საჭირო. ყველამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს და ეს 40 წუთის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს. ძალიან ცუდია, რომ ტურნირის წინ ვლატკო ჩანჩარი გამოგვაკლდა. ვლატკო როგორც შეტევაში, ისევე დაცვაში დიდი ძალა იყო. ის, რომ ნაკრების კაპიტანი ედო მურიჩი არ გვეყოლებოდა, აქამდე ცნობილი იყო. მისი დანაკლისიც ძალიან დიდია.

ჩვენი მიზანი? რომ არ მჯეროდეს, რომ მედლების მოგება შეგვიძლია, ნაკრებში საერთოდ არ ვიქნებოდი.

იაპონიაში წასვლამდე სლოვენიამ 6 მატჩი ჩაატარა: 2 მოგება, 4 მარცხი. სეკულიჩის შეგირდებმა ჩინეთისა (75:73) და მონტენეგროს (104:100) ნაკრებები დაამარცხეს, თავად კი ორჯერ საბერძნეთთან (91:98, 77:88), თითოჯერ კი, ესპანეთთან (79:99) და აშშ-სთან (62:92) წააგეს.

სლოვენია კიდევ ერთ მატჩს 19 აგვისტოს, ტოკიოში მასპინძლებთან გამართავს.

**სეკულიჩის 12 რჩეული კი ასეთია:**

ზიგა სამარი, ალექსეი ნიკოლიჩი, კლემენ პრეპელიჩი, მაიკ ტობი, იაკა ბლაჟიჩი, გრეგორ ჰროვატი, ზიგა დიმეცი, ზორან დრაგიჩი, ბინე პრეპელიჩი, გრეგორ გლასი, იაკობ ჩებაშეკი, ლუკა დონჩიჩი.

საქართველოსა და სლოვენიის გარდა ფ ჯგუფში კაპო ვერდე და ვენესუელაც ითამაშებენ.

# ჩავი და რაფინია ორ-ორი მატჩით დაისჯებიან

ესპანეთის ჩემპიონატი მოულოდნელი შედეგით დაიწყო. ლა ლიგის გასული სეზონის გამარჯვებულმა ბარსელონამ უგოლო მატჩი ითამაშა ხეტაფესთან.



სტუმართა თავკაცი ჩავი ერნანდესი მატჩის მიმდინარეობისას გააძევეს. თამაშის დასრულების შემდეგ ამ ფაქტზე ბევრი არ ულაპარაკია.

**ჩავი ერნანდესი:**

– მსაჯს ვუთხარი, რომ მეტოქეს ბევრ დარღვევას პატიობდა, ჩვენ კი, პირიქით გვექცეოდა. სწორედ ამიტომ გამაძევა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მსაჯებმა თქვეს, რომ მწვრთნელების ემოციებს უკეთ გაიგებდნენ, მაგრამ... ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

თვითკრიტიკულები უნდა ვიყოთ, პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში კი კარგები ვიყავით. ჩვენ მოგება ვცადეთ და 10 ფეხბურთელით თამაშის ფონზე კარგად ვიასპარეზეთ. გასული სეზონიც ფრით დავიწყეთ. ჩემი გუნდით ვამაყობ.

შესაძლო პენალტი? ხელით თამაში ვერ დავინახე. ჩვენ გვითხრეს, რომ თუ ხელით თამაში აშკარა არ იქნებოდა, დარღვევას არ დააფიქსირებდნენ.

გავის ხელით თამაში კი მოგონილია. მსაჯმა ქულები დაგვაკარგინა. მან საკუთარი გადაწყვეტილება უნდა ახსნას.

ფეხბურთში ეფექტური დრო გვჭირდება. ჩვენ საკუთარ თავებს ვასულელებთ.

თუ ლა ლიგას, როგორც პროდუქტს, გავყიდით იმ სახით, როგორიც ვნახეთ, კარგ შედეგს ვერ მივიღებთ. ტებასს ვეტყოდი, რომ მისი პროდუქტი სამარცხვინოა.

ნორმალურია, თუ ხალხი მოწყენილია და ფეხბურთის ყურება აღარ სურს. რაც დღეს ვნახეთ, ფეხბურთი არ იყო, ეს სრული სირცხვილია. ეს პროდუქტი სამარცხვინოა და ხალხს მისი მოხმარება არ სურს.

დავუბრუნდეთ ჩავის დისკვალიფიკაციას – ხეტაფესთან მიღებული წითელი ბარათის გამო ჩავი ერნანდესი 2 მატჩს გამოტოვებს.

**მსაჯის მოხსენებაში წერია:**

– ჩავი შემდეგი მიზეზის გამო გავაგდე: მან მწვრთნელის ზონა დატოვა და ჩემი გადაწყვეტილების გამო მეოთხე არბიტრს პროტესტის ნიშნად ხელები გაუშალა.

გაძევების შემდეგ გვირაბში დარჩა და გაფრთხილება დასჭირდა, რომ ადგილი დაეტოვებინა.

ამავე მატჩის 42-ე წუთზე ბარსელონას გარემარბმა რაფინიამ მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო წითელი ბარათი მიიღო.

ესპანური მედიის ინფორმაციის, ბრაზილიელი ფეხბურთელიც ორ მატჩს გამოტოვებს.

ბარსელონას მომდევნო 2 დაპირისპირება კადისისა (20 აგვისტო) და ვილიარეალის (27 აგვისტო) წინააღმდეგ ელის.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ქუთაისის ტორპედოს სოლიდური ჯარიმა ემუქრება



ქართულ კლუბებს უეფა-დან სანქციები ელოდება. ასეთი ორია – ქუთაისის ტორპედო და გორის დილა.

27 ივლისს უეფა-ს კონფერენციის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახურ აქტობესთან მატჩის დასრულების შემდეგ, „შენგელია არენაზე“ შეკრებილი გულშემატკივრების მცირე ნაწილი მოედანზე შეიჭრა. ერთ-ერთი მათგანი კი, მსაჯთან მივიდა და ხელითაც შეეხო.

შედეგად, ტორპედო მკაცრი სასჯელის მოლოდინშია. საუბარია სოლიდურ ფულად ჯარიმაზე, მაგრამ ქუთაისელი გულშემატკივრებისთვის უფრო მტკივნეული სანქცია იქნება, თუ ქომაგებს სტადიონზე არ დაუშვებენ. ამის საშიშროებაც არსებობს და არის მოლოდინი, რომ მომავალ ევროტურნირზე ტორპედო ერთ საშინაო მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინაშე ითამაშებს.

ჯარიმა ელოდება დილასაც, მაგრამ მათი საქმე ბევრად უკეთესად არის. საქმე ისაა, რომ მათი ფანკლუბის მიერ გამოფენილი ბანერი, რომელიც ზაგრებელი ქომაგების (BAD BLUE BOYS) მხარდასაჭერად იყო გამოფენილი, უეფა-ს დელეგატმა ფაშისტურ სიმბოლოდ აღიქვა. ზაგრებელი ქომაგების აბრევიატურა – ფაშისტური სიმბოლო (888) ეგონათ და ჩამოხსნა მოსთხოვეს. შედეგად, კლუბს 10.000 ევროს გადახდა მოუწევს. არადა, ფაშისტურ სიმბოლოდ ორი 8-იანი აღიქმება და უეფა-ს დელეგატს აშკარად შეეშალა. ქართლურმა კლუბმა უეფაში უკვე გააგზავნა შესაბამისი დამამტკიცებელი გარემოება და, შესაძლოა, დილა სანქციებს გადაურჩეს...

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოლონეთის პრეზიდენტი; 2. შლამი, დანალექი ტბის, მდინარის ფსკერზე; 3. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი; 4. იაპონური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. აეროპორტი მადრიდში; 6. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 7. მდინარე ახალციხეში; 10. კათოლიკური ეკლესიის მამამთავარი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 13. ძველებური, რბილი ტყავის, დაბალყელიანი ფეხსაცმელი საქართველოში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. გარეული ცხოველი მადრიდის სიმბოლო; 24. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა.

**თარაზულად:** 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 3. გვარი, ჯიში, მოდგმა; 8. ტბა სამხრეთ საქართველოში; 9. სარკინიგზო ვაგონების სადგომი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 22. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო სუფრაზე; 23. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. უკრაინული ბორში; 25. რძის პროდუქტი; 27. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაკირი; 2. არგო; 3. ალარმისტი; 4. შრატი; 5. ლაუდერი; 8. უშგული; 9. ზინგშპილი; 12. იუმორი; 14. კურტუა; 16. ოკაცე.

**თარაზულად:** 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. კონუნგი; 9. ზღარბი; 10. ციხე; 11. პულმანი; 13. ჰოკეი; 15. სულიკო; 17. ჯიბგირი; 18. ბოგოტა; 19. ყურუში; 20. ჰელიოსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბიტი; 2. ოდა; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ცინიზმი; 10. ქროუ; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 16. კურტუა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

**თარაზულად:** 1. ბაჯაღლო; 2. ბეკეში; 8. თუშეთი; 9. ყოქო; 14. ხონგა; 15. ჩაჩავა; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. ტოგა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

16 აგვისტო

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6209
ევრო — 2.8665
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3322
100 რუსული რუბლი — 2.6586

**ამინდის პროგნოზი 16 აგვისტოსთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნეიმარს კვლავ ბარსელონაში თამაში სურს



ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება სურს და მას ისევ აქვს იმედი, რომ ეს რეალობა გახდება, თუნდაც ეს 2025 წელს მოხდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარი 2 წლით საუდის არაბეთს მიაშურებს და შემდეგ უკვე შესაძლოა ის ბარსელონაში დაბრუნდეს, თუმცა, მისი დაბრუნება არ სურს ხავის, რომელიც ამ ტრანსფერის წინააღმდეგია. შესაძლოა წლების მანძილზე ხავიმ თავისი აზრი შეიცვალოს.

## ერიკ ტენ ჰააგი: „საუკეთესო თამაში არ გვქონია“



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე ვულვერჰემპტონი მიიღო და მათი დამარცხება მოახერხა, თუმცა, მატჩი რთული გამოდგა. შეხვედრის შემდეგ ერიკ ტენ ჰააგმა თქვა, რომ მის გუნდს უკეთესად უნდა ეთამაშა:

– მეორე ტაიმში მეტოქეს გოლის გატანის შანსები ჰქონდა და შეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლა. ეს მხოლოდ პირველი შეხვედრა იყო და აუცილებლად უნდა მოვუმატოთ, თუ გვინდა, რომ ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ.

## კვარაცხელია სათამაშოდ მზად არის



ნაპოლის ქართველი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია სათამაშოდ მზად არის და დიდი ალბათობით მას ფროზინონეს წინააღმდეგ მოედანზე ვიხილავთ.

შეხვედრა 19 აგვისტოს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ნაპოლი იტალიის მოქმედი ჩემპიონია და მათგან წელსაც ბევრს ელიან. კვარაცხელიას მცირე ტრავმა აწუხებდა, რის გამოც მან ნაპოლის რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გენადი სულთანიშვილი ონის კულტურის სახლში დაასვენეს



შოვში მეწყერის შედეგად გარდაცვლილი მომღერალი გენადი სულთანიშვილი მაშველებმა რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ იპოვნეს.

ანსამბლ „ბუბას“ წევრი შოვში მდებარე კოტეჯების მზარეული იყო. სტიქიის შედეგად გარდაცვლილი მომღერალი ონის კულტურის სახლში დაასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

## რამაზ ჩიკვილაძე 50 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს

ოპერის მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე 50 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს. ამ იუბილესთან ერთად, იგი მსოფლიო სცენაზე მო?ვაწეობის 25 წლისთავსაც ზეიმობს.




17 აგვისტოს, ბორჯომში, პარკის კინოთეატრის დარბაზში იუბილარი ხელოვანი საოპერო ჟანრის მოყვარულებს შეკრებს და თავის მეგობრებთან ერთად განსაკუთრებულ საღამოს აჩუქებს.

რამაზ ჩიკვილაძის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გიორგი ონიანი, ხათუნა ჭოხონელიძე, მარიკა მაჩიტიძე, სულხან გველესიანი, მამუკა ლომიძე, ვანო გალუაშვილი, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბორჯომი“, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ლევან ჯაგაევის დირიჟორობით.

საიუბილეო საღამოს წამყვანი თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე იქნება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– დღეს ძალიან ლამაზი ხარ.
– მხოლოდ დღეს?
– ჰო, მხოლოდ დღეს.

•••

ყვავილების მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:
– თაიგულის შერჩევაში ვერ დამეხმარებით? მინდა, მეგობარ ქალს შევურიგდე.
– მოდით, თქვენი რეაბილიტაციის ზომა შევარჩიოთ. რა ჩაიდინეთ?
– ვუწოდე სულელი.
გამყიდველმა ულამაზესი ვარდი გაუწოდა.
– ...თხა.
გამყიდველმა მეორე მიაწოდა.
– ...გონებაჩლუნგი.
გამყიდველმა მესამე მიაწოდა.
– ...სქელი.
გამყიდველმა ერთი ვარდი უკანვე გამოართვა და ეუბნება:
– ეს ვარდები მისთვის კი არა, თქვენთვის.

•••

ექიმი ქალს მიმართავს:
– კი მაგრამ, ახლახან იმშობიარეთ და უკვე აღრიცხვაზე დადექით? რა, სამშობიაროდან პირდაპირ ლოგინს მიაშურეთ?
– არა, ჯერ წვნიანი მოვამზადე...

•••

ქალი კაცს ეკითხება:
– გუშინ უგონოდ დავთვერი და ჩვენ შორის რამე მოხდა?
– არა, არაფერი ყოფილა.
– ჰოო, როგორ არ გიმართლებს...

•••

შვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, ჩვენი გაზქურა ასეთი ჭუჭყიანი რატომაა?
– მამამ ერბოკვერცხი მოიმზადა.
– რა, უტაფოდ?

•••

გამხდარი, ინტელიგენტი მეუღლე სახლში ბრუნდება, იქ კი ცოლი საყვარელთან ერთად ლოგინში ნებივრობს. საყვარელი საწოლიდან წამოდგა, სიმაღლე ორი მეტრი, მხარბეჭიანი, დაკუნთული. ქმარმა შეათვალიერა, პისტოლეტი ამოიღო და ეუბნება:
– რა კარგია, ამხელა რომ ხარ, თორემ სათვალე სამსახურში დამრჩა.

•••

კაცი სოფლის გზაზე მიდის და ხედავს, შემოღობილ ნაკვეთზე წარწერაა მიკრული: „ვყიდი სახლს“.
კაცმა ღობის შიგნით გადაიხედა, სახლი ვერ შენიშნა და ჩაილაპარაკა:
– უკვე გაუყიდიათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ლევან წულაძე ახალ თეატრს ხსნის



„თეატრი სახელოსნო 42“ – ასე ერქმევა ახალ თეატრს, რომელსაც ლევან წულაძე თავის გუნდათან ერთად ხსნის:

– ვჩქარობ, მოგახსენოთ, რომ თბილისში მალე გაიხსნება კიდევ ერთი დამოუკიდებელი თეატრი, რომლის სახელწოდება იქნება „თეატრი სახელოსნო 42“. ეს თეატრი იქნება „ფექთორი თბილისის“ ტერიტორიაზე და ამიტომაც დავარქვით მას სახელად „თეატრი სახელოსნო 42“. ეს ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდება 25 სექტემბერს და გაიხსნება ჩვენი ახალი თეატრი შექსპირის უკვდავი ტრაგედიით „ოტელო“, რასაც ვულოცავ ჩემ თავსაც და ყველა თქვენთაგანსაც. მეტის ლაპარაკის უფლება არ მომცეს, ამიტომ დაელოდეთ ჩვენს შემდეგ სიახლეებს. ყურადღებით იყავით, არ დაილუპოთ, არ გამოგრჩეთ რამე.

## ქეთევან დუმბაძე: „თავგადაკლული ვარ ლიტერატურაზე“



აცხადებს მწერალთა სახლის ახალი დირექტორი ქეთევან დუმბაძე, რომელსაც ლიტერატურული სფეროს ნაწილმა პროტესტი გამოუცხადა:

– ფიქრიც კი არა მაქვს მაგაზე, რომ მე რაღაცა კატეგორიულ მოთხოვნებსა და მითითებებს მივილებ, აქ არის ნდობის საკითხი, მხოლოდ იმ თვისებების გამო გაჩნდა ეს ჩემი კანდიდატურა, რომ თავგადაკლული ვარ ლიტერატურაზე, ეს არის ჩემთვის უზენაესი ღირებულება – მწერალი და მისი შემოქმედება.

მე ვიცი, როგორ იქმნება და რა ძალისხმევა სჭირდება თითოეულ სიტყვას, მე ეს მინახავს ჩემი თვალით და მე ამაში გავიზარდე.

## გიორგი პაპკიაური: „ასეთ გარემოში გინდათ მომავალი თაობის გაზრდა?!“



კითხულობს მომღერალი გიორგი პაპკიაური და ქართველების მიერ მხოლოდ ჭორაობით, სხვის საცვლებში ძრომიალით, ადამიანების დაცინვით, ბოლმითა და შურით გაკვირვებულია:

– თუ გინდა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდე, ყველა იმედი გადაგეწუროს, სიყვარულის აღარ იწამო, აზრი დაკარგოს შენმა ცხოვრებამ, ადამიანებთან კონტაქტის სურვილი დაკარგო და უბრალ?დ დაინახო რეალობა, უნდა შეხვიდე ფეისბუქზე!

რას დავემსგავსეთ, რა უბედურებაა?!

დავიჯერო, მხოლოდ ჭორები, სხვის საცვლებში ძრომიალი, ადამიანების დაცინვა, სხვისი ცუდის ნახვა, ბოღმა, შური, სიბოროტე, გაჭირვება და ყველაფერი უარყოფითია თქვენი ინტერესის საგანი?!

რა მარაზმშია გადაზრდილი დღევანდელი ყოფა და რეალობა!

არანაირი ღირებულებები აღარ გაგაჩნიათ, რაში კარგავთ დროს, სიცოცხლეს?!

მხოლოდ ცუდი, მხოლოდ სიბოროტე და ეს დედააფეთქებული პოლიტიკა!

ეს ტრაგიკული პოსტების ისტერიული გაზიარება, ნორმალური გგონიათ? ქვეყანაში უკვე ისეთი ენერგეტიკაა, ნორმალური თუ ხარ, საფლავი უნდა გაითხარო და შენით ჩაწვე!

ან ეს ნაც-ქოცი რომ არასდროს მორჩა და ამის შემყურე ადამიანად რომ დაიბადეთ, ისიც კი არ გახსოვთ!

რა უბედურებაა მართლა!

იმ დონეზე პოპულარულია სხვისი უბედურებისა და სეირის ყურება, რომ ჩვენი უბედურებები არ გვყოფნის და უცხოურებს აზიარებთ და ამ ქვეყანაში, ასეთ გარემოში გინდათ მომავალი თაობის გაზრდა-აღზრდა?!

კიდევ ბევრს ვიტყოდი, უბრალოდ, ვიცი, რომ ამასაც ტყუილად ამბობ, სამწუხაროდ.

## „სუხიშვილები“ კონცერტებს ბათუმში გამართავს

ანსამბლი „სუხიშვილები“ ტრადიციას არც წელს დაარღვევს და ბათუმში კონცერტებს გამართავს.



მათ აქტიური რეპეტიციები უკვე გაიარეს და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

16 და 17 აგვისტოს სუხიშვილები ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში შერეული საკონცერტო პროგრამით წარსდგება. მოცეკვავეები როგორც ახალ, ასევე ძველ ცეკვებსაც შეასრულებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თაფლიანი ფიჭა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. ფულის ერთეული ტაჯიკეთში; 9. ლიტერატურული კრებული, სადაც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა რჩეული ნაწარმოებები; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. მთის ბროლი, კვარცის ნაირსახეობა; 16. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის, ნახევრად ტკბილი, ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. სვანური დროშა; 11. მატერიალური სიუხვე, ბარაქა; 13. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. ტაივანის დედაქალაქი; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

